



იმისთანა წმინდა საცმეში, ბეგბინდ ბუქდ-
უტი სიფყვას, ფყილუბით და ჭბბბბით ბუბ-
თის გაცნას ყულა უუბბბბბბბბუ უსამბბბბბბბ.

ბაბბბბბ 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

სუთუბბბბბ, 17 აგვისტო. 2023 წ. №95 (9627) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი



ნბ. 4 ბბ.

სჯობს, ოკეანე გუთანთქოს, ვიღრე ტლაპოვი ჩაიხრჩო, აფხაზეთო!



„ბაბი, აფბბბი, ბაბა“!

ეს ისე, 5 უბრკლოდ!..

ანუ პასუხი „ნაბავს“!



მხნედ, ქათი ღუბბბბ!

სტუმრად საკუთარ ქალაქში

რუსებმა ვაკის პარკი ციხის ნაბბბბარეს!

ბენარალ-ლეიბანახი იბორ კირილოვი აუბ ახალ პანდემიას ამზადებს?!

რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების რადიაცი-
ული, ქიმიური და ბიოლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელის
გენერალ-ლეიტენანტ იგორ კირილოვის თქმით, ამერიკის შე-
ერთებული შტატები ახალ პანდემიას ამზადებს.
„შეერთებული შტატებმა გლობალური ბიოლოგიური კონ-
ტროლის დამყარებისთვის შემდეგი სტრატეგიული ნაბიჯების
გადადგმა დაიწყო. პანდემიისთვის მზადყოფნისა და რეაგირების
თვის შექმნეს. საუბარია იმაზე, რომ ახალი სტრუქტურა პა-
სუხისმგებელი იქნება კურსის განსაზღვრასა და უცნობ ბიოლო-
გიურ გამოწვევებთან საბრძოლველად. სწორედ ამან შეიძ-
ლება გამოიწვიოს კიდევ ერთი გლობალური საგანგებო მდგო-
მანობა“, – აცხადებს კირილოვი. კირილოვის თქმით, ამ გზით
შეერთებულმა შტატებმა ვირუსის მუტაციების ძიებით ახალი პან-
დემიისთვის მზადება დაიწყო.


ღვარსოვლის უამღაბ

„ოქრო ძვირად იყვის და სოფელი იაფად“ ...



ნბ. 9 ბბ.

ჯუმბარ ლეჟავას მსოფლიო მობზაურობა - 30



ყაზახეთი საქართველოზე გამაპალი გარეკობული ნაპრობსადენის აქუშაპეპას და შეპსეპას აპირეპს

რომელიც შეადგენს წელიწადში 2 მილიონ ტონას. ასევე, ყაზახური სხვა ნავთობპროდუქტები 600 000 ტონა იქნება. ასევე, იგეგმება 2.5 მილიონი სხვადასხვა მშრალი და ნაყარი ტვირთების ტრანსპორტირება, როგორცაა გოგირდი და სხვ. კონტეინერების მრდაც იქნება.

მოლოდინი გვაქვს, რომ კორიდორში კონტეინერების რაოდენობა პირობითად, 40-50 ათასამდე გაიზარდება. ეს ძირითადად იქნება ცენტრალური აზია და ჩინეთიდან ევროპაში მიმავალი ტვირთები, რისთვისაც გამოიყენებენ როგორც ჩვენს პორტებს, ასევე ბაქო-თბილისი-ყარსის მაგისტრალსაც, - განაცხადა გურამიშვილმა.

შუა აზიის ქვეყანა, რომ საქართველოს დერეფნით დიდად დაინტერესებულია, ეს ყაზახეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ალიხან სმაილოვისა და საქართველოს პრემიერის ირაკლი ღარიბაშვილის შეხვედრის დროსაც დადასტურდა. სამუშაო შეხვედრაზე ალიხან სმაილოვი ხაზი გაუსვა, რომ ყაზახეთსა და საქართველოს აკავშირებს მჭიდრო და ხანგრძლივი მეგობრული კავშირები და მრავალმხრივი თანამშრომლობა.

„ჩვენ მხარს ვუჭერთ ორმხრივ მხადყოფნას ნდობასა და პატივისცემაზე დაფუძნებულ ყაზახეთ-საქართველოს თანამშრომლობას. საქართველო ყაზახეთის მნიშვნელოვანი და სანდო პარტნიორია სამხრეთ კავკასიაში.“

ტინორია სამხრეთ კავკასიაში. საქართველოში ჩემი ვიზიტის დროს შევთანხმდით ორმხრივი ვაჭრობის წლიური მაჩვენებლების გაზრდაზე და ძალიან კარგია, რომ 6 თვის შედეგების მიხედვით, ჩვენი ორმხრივი ვაჭრობა 30%-ით გაიზარდა. ჩვენი საგარეო მრეწველის ვაჭრობის მოცულობების შემდგომი გაზრდის მიზნით, მე ვთავაზობ, გამოვიყენო ჩვენი სამთავრობათაშორისო კომისიის შესაძლებლობები.

ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ თანამშრომლობას ტრანზიტისა და ტრანსპორტის სფეროში. სასიხარულოა, რომ ჩვენი პარტნიორობა ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტის განვითარებაში სწრაფად მყარდება. მიმდინარე წლის ექვს თვეში შუა დერეფანზე ტვირთების გადაზიდვის მოცულობა 77%-ით გაიზარდა და 1,3 მლნ ტონას მიაღწია. ჩვენს ბოლო შეხვედრაზე მიღწეულმა შეთანხმებებმა დამატებითი მიძგი მისცა მარშრუტის განვითარებას. ზოგადად, ყაზახეთის მთავრობა მზადაა ვააგრძელოს მრავალმხრივი მუშაობა, რათა უზრუნველყოს ყაზახურ-ქართული პარტნიორობის დინამიკური განვითარება ყველა სფეროში, - აღნიშნა ცოტა ხნის წინ საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად მყოფმა ყაზახეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა.

ბაბა დანელია

ყაზახეთი და აზერბაიჯანი ბაქო-სუფსის მარშრუტით ნავთობის ტრანსპორტირების შესაძლებლობას განიხილავენ. ეს დამატებითი სარგებელი იქნება საქართველოსთვის, რომელიც უკვე ატარებს შუა აზიურ ნავთობს და სხვა ტვირთებსაც. მჭიდრო თანამშრომლობის მოსურნეა ორივე ქვეყანა, რაც უმაღლეს სამთავრობო დონეზე დადასტურდა.

ყაზახეთის ენერჯეტიკის მინისტრის ალმასადამ სატკალიევის ინფორმაციით, უკვე მიღწეულია შეთანხმება ყაზახური ნავთობის ექსპორტზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით და ახლა განიხილება ნავთობის ტრანსპორტირების შესაძლებლობა ბაქო-სუფსის მარშრუტით.

„ყაზახეთმა დაიწყო „დრუპას“ მილსადენით გერმანიისთვის ნავთობის მიწოდება. მიწოდება ხორციელდება ყაზახური ნავთობის ტრანზიტის შესახებ ადრე გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, - განაცხადა ყაზახეთის ენერჯეტიკის მინისტრმა.

აღსანიშნავია, რომ ბაქო-სუფსის მილსადენის სიგრძე 837 კილომეტრია. მისი გამტარუნარიანობა აღემატება შეიღ მილიონ ტონა ნავთობს წელიწადში (145000 ბარელი დღეში). მილსადენის ოპერატორი არის „მიპი“. ნავთობის ტრანსპორტირების საბოლოო პუნქტი არის შავი ზღვის პორტი სუფსა. შემდეგ ნავთობი ევროპაში მომხმარებელს ტანკერებით მიეწოდება. მილსადენის გავლით ექსპორტი 2022 წლის მაისიდან ნავთობის გადაზიდვებზე განაცხადების ნაკლებობის გამო შეჩერდა. ახლა კი მისი ამუშავება დადება დღის წესრიგში.

ის, რომ ყაზახეთმა საქართველოს გავლით ნავთობპროდუქტების გადაზიდვა უკვე დაიწყო, ამას საქართველოს მთავრობაში ადასტურებენ და კონკრეტული მონაცემებიც მოჰყავთ. ეკონომიკის მინისტრის მოადგილის გურამ გურამიშვილის განცხადებით, ენერჯეტიკითი წელიწადში 2 მილიონ ტონას შეადგენს.

„უკვე არის განაცხადი და დაიწყო ყაზახურმა ნავთობმა ტრანსპორტირება,

საქართველოს მთავრობამ 2023-2030 წლების ტრანსპორტისა და ლოჯისტიკის პროგნოზი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა დაამტკიცა



საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით მთავრობის ბოლო სხდომაზე.

მინისტრთა კაბინეტის წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 22 საკითხი განიხილეს. მათ შორის, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ეკონომიკის სამინისტროს მიერ მომზადებული 2023-2030 წლების ტრანსპორტისა და ლოჯისტიკის ეროვნული სტრატეგია და მისი 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა.

სტრატეგია მოიცავს გრძელვადიან ხედვას, მიზნებსა და ამოცანებს საქართველოს, როგორც რეგიონულ სტრატეგიულ და ლოჯისტიკურ კავშირებსა და ლოჯისტიკის ეროვნული სტრატეგია და მისი 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა.

ლოკუმენტები განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ლოჯისტიკური სექტორის გაძლიერებასა და ლოჯისტიკური მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, ასევე - საავტომობილო, სარკინიგზო, საზღვაო ტრანსპორტის, სამოქალაქო ავიაციის სფეროების ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფას და საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

ანობის ამაღლებას. ამავდროულად, სტრატეგია მიზნად ისახავს შრომის ბაზრის მოთხოვნების, საჭიროებების შესაბამისი ადამიანური კაპიტალის განვითარებას ტრანსპორტისა და ლოჯისტიკის სექტორში.

სატვირთო გადაზიდვების ხელშეწყობასთან ერთად პრიორიტეტული საკითხია სამგზავრო გადაყვანების განვითარება. დოკუმენტის განხილვისას ხაზგასმით აღინიშნა, რომ სატრანსპორტო ქსელის გაუმჯობესება, სატრანსპორტო მომსახურების და უსაფრთხოების დონის ამაღლება უაღრესად მნიშვნელოვანია მომიჯნავე საჭიროებების დაკმაყოფილებისა თუ საქართველოს ტურისტული პოტენციალის გაძლიერებისათვის.

სტრატეგია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, შესაბამისი სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით მოამზადა. ამასთან, გაიმართა საჯარო კონსულტაციების რამდენიმე რაუნდი, რომელთა საფუძველზეც მიღებული რეკომენდაციების დიდი ნაწილი გათვალისწინებულია დოკუმენტის საბოლოო ვერსიაში.

მთავრობის დადგენილებით, ასევე შეიქმნა საქართველოს ტრანსპორტისა და ლოჯისტიკის დარგის განვითარების უწყებათაშორისი კომისია, რომელიც კოორდინაციას გაუწევს სტრატეგიით, შესაბამისი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებას, ამავდროულად - უზრუნველყოფს ტრანსპორტის სფეროში არსებულ გამოწვევებზე ეფექტურ რეაგირებას.

საკითხის განხილვისას აღინიშნა, რომ გლობალიზაცია და ევროკავშირთან მზარდი ეკონომიკური კავშირები საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობაში სწრაფ ინტეგრაციის უნიკალურ შესაძლებლობას ქმნის.

ამდენად, ამ პროცესში ტრანსპორტისა და ლოჯისტიკის სექტორმა ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს. აქვე აღინიშნა, რომ ამ მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ევროკავშირის სატრანსპორტო სისტემაში საქართველოს ინტეგრაციას, რაც გულისხმობს ევროპული სტანდარტების დანერგვას და სატრანსპორტო კავშირების გაუმჯობესებას.

სამი ათასზე მეტი ოპერატორი 15 მილიონით დაფინანსდა

მეწარმეებისა და მუხლის სახსრის ენდოპროთეზების ოპერაციები, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ტარდება.

დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 2022 წლის მონაცემებით, ენდოპროთეზების ოპერაციების 5 600-ზე მეტი შემთხვევა 23 მილიონ ლარზე მეტით დაფინანსდა. 2023 წელს, განვლილი 7 თვის მანძილზე, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, ენდოპროთეზების 3 400-ზე მეტი ოპერაცია ჩატარდა, რომელიც 15 მილიონ ლარზე მეტით ფინანსდება.

ენდოპროთეზების ოპერაციები უფინანსდებოდა: პენსიონერებს, შედაგოვებს, სოციალურად დაუცველებს და პირველი ჯგუფის შშმ პირებს. ასევე, გარკვეულ შემთხვევებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის საბაზისო პაკეტით მოსარგებლე მენეფიციარებს.

მნიშვნელოვანია, რომ ჯანდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, 2023 წლის მაისიდან, ქირურგიული მომსახურების დროს გამოიყენებული სახარჯი მასალების და მათ შორის, ორთოპედიული ენდოპროთეზის მინიმალური მოთხოვნები და მასხარათულებები ამოქმედდა. სახარჯი მასალების ევროპული და ამერიკული სტანდარტები, თითოეული მენეფიციარისთვის, მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებას უზრუნველყოფს.

სახელმწიფო სკოლებში ფარმაცევტული დროებით სარგებლობაში გადამსწავლა

ეკონომიკის სამინისტროს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და სსიპ „მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს“ აქტიური მუშაობის შედეგად, მთავრობის გადაწყვეტილებით, დელოფის-წყაროს, ახალციხის, დმანისის, ბორჯომის, სიღნაღის და ხობის მუნიციპალიტეტებში მდებარე, ჯამში 1012.8102 ჰა, საძოვარი 12 ფიზიკურ პირს, იჯარის უფლებით, 3 წლის ვადით გადაეცათ. საძოვართა სარგებლობის წლიურად გადასახდელი ქირა 13 845 ლარს შეადგენს.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამა 2021 წელს დამტკიცდა. პროგრამის მიზანია საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საძოვრების რაციონალურად გამოყენებისა და ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა, საძოვრების დეგრადაციის პრევენცია, მეცხოველეობის განვითარების და ადგილობრივი პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა, ასევე მეცხოველეობის სფეროში დასაქმებული ფერმერებისთვის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.



მს არის დღეს, რა იქნება ხვალ?!



„ოქრო კვირად იყვის და სოფელი იაფად“ ...

ასე დაახასიათა ქართველი კაცის წინაპარმა ჩვენი ხალხის მდგომარეობა ქვეყნისთვის „შავ პერიოდში“. ასეთი ძნელად მოსაგონარი „შავი პერიოდები“ ბლომად იყო ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ოქროზე იყიდებოდა ჩვენი ქვეყნის ბავშვები და მოზრდილები, მეძებნარ ძალზე იყიდებოდა სოფლები, „ლეკთა გააალაგეს საქართველო“, გულისტკივილით აღნიშნავდა ერეკლე მეფე.

უარესი მდგომარეობაა დღეს. იყიდება საქართველო მიწიანა, წყლიანა, ტყიანა, ადამიანებისა, „რათა ასრულდეს ქართველი კაცის ისტორიული ოცნება, დაუბრუნდეს ვეროპას“.

როგორ უნდა დაიფიქრო თავზარდაცემა, რომელიც თავს დაგვატყდა სასტუმრო შოვის ტერიტორიაზე, როგორი დასაჯერებელია, რომ ამხელა მსხვერპლი გამოიწვია მთაში მცინვარის დროება.

არავითარი აზრი არ აქვს ახლა საპარლამენტო ან სხვა სახის კომისიის შექმნას, რადგან ამ კომისიაში ატყდება ყვირილი, ჩხუბი, თუ რატომ არ იყო მეტი რაოდენობის ვერტმფრენები, რატომ არ იმუშავებს ვერტმფრენებმა დაბით და ა.შ.

მოსალოდნელ კატასტროფას ვერ ან არ დაინახავდა პოლიტიკურ სპექტრში და საზოგადოებრივ სტრუქტურებში მოკალათებული, უცხოეთის მიერ დაფინანსებული აგენტები.

შვითხველმა განსაჯოს: **2023 წლის 7 აგვისტოს გაზეთ „ახალ თაობაში“ ქალბატონმა თეა გოდოლაძემ კორესპონდენტის შეკითხვას უპასუხა: „ჰი, რამდენიმე დღით ადრე დასწყობილი პროცესია... შესაძლებელი იყო გარკვეული ალკატორით გათავა, რომ მყინვარზე არის ინტენსიური დროვა, ყალიბდება პოლიგრაფიული ტრა, ეს ნაშთივებს მიწის მასას და გააკეთებს ღვარცოფს“.**

თუ ყალიბდებოდა ტრა, ის „გაკეთებდა“ ღვარცოფს და ქალბატონმა თეამ არ ატყვა ყვირილი, არ შეუვარდა კამბინებში აღმასრულებელ ხელისუფლებას, რატომ, რატომ, რატომ? სრულიად საკმარისი იქნებოდა ონის გამგებლისთვის დაერევა. გამგებელი წაიყვანდა ადგილობრივებს და ისინი მიიღებდნენ საჭირო ზომებს. უკიდურეს შემთხვევაში აფეთქებდნენ წყლით გაუღებთილ ფერდობს ხალხის წინასწარი გაფრთხილებით.



შინ არის ქალბატონი თეა? იგი უცხოეთის მიერ დაპირავებული ერთ-ერთი აგენტია. ქალბატონი თეას მსგავსი ქალიან გვინდა, რომელთათვის დოლარები „მძინარე იყავს, ხოლო მათი ხალხი იაფად“.

შოვის ტრაგედიამდე იყო თბილისის ტრაგედია. ჩვენმა შიდაომიწვენივლთა ჯგუფმა მამინ მოკლე დროში წარადგინა ვერცხეობაში, თბილისიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით კამხლის მოწყობის პროექტი, რომელიც მთლიანად გამოიწვევდა ყოველნაირი სიდიდის წყალმოვარდნებს. მოწყობილი წყალსაცავი იქნებოდა თბილისელთა ბისთვის ერთ-ერთი საყვარელი დასასვენებელი ადგილი.

თბილისის მერია და ვარემოს დაცვის სამინისტრომ ძვიდარღვივებული წინასწარი გაფრთხილების სისტემა დაამონტაჟეს, რომელმაც ნაწილობრივად ვერ მოხსნა წყალმოვარდნის საშიშროება.

ჩვენ, რიგითებს, გვექმნება შთაბეჭდილება რომ პოლიტიკოსები და საზოგადოების წარმომადგენლები ყველანი, ერთეულების გამოკლებით, მხოლოდ დოლარების შოვნით არიან დაკავებული. ეს გვაკვლავ მიგვიყვანს სამოქალაქო ომამდე, ან ჩვენი ქვეყნის სრულ კოლონიზაციამდე, რასაც მომავალი თაობა არაფერს არ აპატიებს.

ნუგზარ კობახიძე,

დამოუკიდებელი ექსპერტი პილოტირებული პოლიტიკაში
ბოლნისი, გ: 593 74 82 53

დილაობით, რეგულარულად დადივარ ვაკის პარკში. ამ ტრადიციას უკვე ხანგრძლივი ასაკი გააჩნია. მახარებს სხვადასხვა ჯიშის ხეები – მუხების, ჭადრების ხეივანები, ნაძვების ნაირსახეობა, მოვლილი და ლამაზი სკვერები. ვაკის პარკი, ჩემი კი არა, მთელი ქალაქის სიამაყეა! ორიოდე წლის წინ დაიწყო პარკის ფართობის გაზრდა რეაბილიტაციის მიზნით. მარჯან, განახლების პირველი ეტაპი დასრულდა. რომ არა მარტოს ტრაგედია, ყველანი ძალზეგახარებული ვიყავით ახალი ნარგავების, განახლებული სანიადრე და განათების სისტემის ხილვით. ამასთან ერთად, გაფართოვდა სპორტული სივრცე და დაიდგა ღია ცის ქვეშ ფიზიკური სპორტული ტრენაჟორები. ახლა აქვთ ტერიტორიაზე გადმოვიწვევლეთ სპორტული ვარჯიშებით დაინტერესებულმა, რეგულარულმა ვიზიტორებმა. ეს უბნის ტრადიციული წრეა, რომელთა წარმომადგენლები, ჩემსავით დადიოდნენ პარკში სავარჯიშოდ.

ბოლო დეკადების დროს თბილისში, მით უფრო პარკში, რუსულ ენაზე საუბარს იზიარებდა თუ გავიგონებდი. თურქულ, ინგლისურ და აქა-იქ გერმანულ ენაზე მოკრძალებულ საუბრებს, კი. ძალზე მოულოდნელად, მარჯან შემოდგომიდან, არა მარტო პარკში, არამედ მთელს ვაკის რეგიონში (თითქმის მთელ ქალაქში), ღრმად დავიწყებულმა რუსულმა ენამ აქტიურად დაიწყო წარმოჩენა. სტუმრად ჩამოსულები გვეგონენ და როგორ გამიკვირდა და გავიკვირდა ყველას, როდესაც ერთ მშვენიერ დღეს, „სტუმრები“ რეგულარულად, ჯგუფურად შემოვიდნენ ვაკის პარკში, დაეუფლნენ ყველასათვის განკუთვნილ ტრენაჟორებს და დაიწყეს ვარჯიში. თავდაპირველად, ჩვენ რომ გვეგონა რუსული რეჟიმით შევიწროებულები და გამორიდებულები იყვენ, ნელ-ნელა გაირკვა, რომ საქმე ასე სულაც არ არის. სევედა, დეკრესია ან ტრაგიკომის ამსახველი სხვა განცდა, არც ერთ მათგანს არ ახასიათებდა. არ ვლინდებოდა ის გრძნობები, რაც მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო ძმობაშვილები რაიმე შეწყვეტულებში, შეძრწუნებულებში, იძულებით გადაადგილებულებში. პირიქით, მათი სილაღე და გარემოთი ტკბობა თავისუფალ სამოსშიც გამოიხატა, სადაც თბილისისთვის მეტად მიუღებელ სიმშველეს დონესაც კი შედავდნენ.

ისინი მკვეთრად სეპარატისტულად იქცეოდნენ, ეხმარებოდნენ მხოლოდ თავისიანებს, ხოლო ადგილობრივებისთვის თავაზიანი სალაშქრო კი არ ემეტებოდნენ! უცნაური სანახავი გახდა ვაკის პარკი – უბნის ტრადიციული მცხოვრებლები და უცხო ენაზე მოსაუბრენი გამოკვეთილად ერთმანეთისგან განსაკუთრებულად აღმოჩნდნენ. ისინი, ანუ რუსულენოვანი, სტუმრებს კი არა, მასპინძლებს უფრო შვავდნენ, ვიდრე დაუპატიჟებელი უცხოელებით თავგაბებრებულ მასპინძლებს! ამ სეპარატისტულ ნაკადში მალევე აღიღებოდა გამოიკვეთნენ, რომლებიც სპორტული მასპინძლების როლში მოგვევლინნენ.

აგვისტოს ტრაგიკული დღეების დროს, როდესაც აქმყო (შოვის სამხრეთი ტრაგედია) და წარსული (ქართულ-რუსული ომის მეშვიდროება) მძიმე ტვირთად დაგვაწვა გულზე... პარკში დილის ვიზიტი უკვე ერთ-ერთი თუ არა, ერთადერთი განტვირთვის საშუალება გახდა. უკანასკნელი ვიზიტის დროს სპორტულ მოედანზე დამხვდა უცხოეთში მყოფების განსაკუთრებულად დიდი ჯგუფი, რომელსაც გულმოდგინედ ამეცადინებდა ახალგაზრდა ქალი. მისთვის მე მანამდეც მომიკრავს თვალი პარკში – უკვე ნახევარ წელზე მეტია იგი სხვადასხვა რუსულენოვან ჯგუფს ხელმძღვანელობდა ფიზკულტურის დროს. ამ



სტუმრად საქუთარ ქალაქში

რუსებმა პარკის პარკი სიძვია ნაბზპარკს!!!

ჯერზე, რუსულ საუბარს, უკვე სპეციალური აპარატურით ხმამაღლად აუღებდნენ მუსიკალური ვაკეფონია და ერთი, რომელიც, როგორც ჩანს, მათ სპორტულ მეცადინეობაში ხელს უწყობდა. არ დავიმალოვთ, რომ ასეთი სპორტულ სივრცეში ვარჯიშისას ჩვენ არასოდეს ვხმაურებდით, მით უფრო, არ ვაწყებდით ერთმანეთს საუთარნი მუსიკალური გემოვნებით. როდესაც ტრენაჟორზე გადავიდით, რომელიც უშუალოდ ამ რუსულ ჯგუფთან სიახლოვეს იყო, მომიწია ამ ახალგაზრდა ქალისათვის ქართულად მომეხსენება, რომ მუსიკა გამოიწვია. მან რუსულად უმალ მიპასუხა, რომ არაფერი ესმის. ახლა იგივე გავუთქვინე ინგლისურად. დავიგინე, როდესაც პასუხად – რატომ? – მივიღე. მომიწია ახსნა-განმარტებები. ამანაც არ იმუშავა და რუსებმა განაგრძეს ვარჯიში ხმაურიანი, არცთუ სასიამოვნო მუსიკის თანდათვით.

ამ ფაქტით დალოდებულმა, დავასრულე ვარჯიში და უკან, სახლისკენ გამოვეშურე. განა უხეშობა და სიტლანქე აქამდე არ მინახავს? მაგრამ მიკვირს, რატომ ეუფლება პარკს ჩამოსულთა რუსულენოვანი ჯგუფი და ამოვიგინებ დატუქსულებივით, ერთ კუთხეში დგან და დუმილით ელოდებიან თავიანთ რიგს ტრენაჟორებზე. ამ ტლანქე მასას, პარკში მოსვენებისა და ვარჯიშების წესებზე, მხოლოდ ერთმა ადგილობრივმა, რატომ უნდა ესაუბროს? რატომ აღმოვჩნდი მოულოდნელად, განსაკუთრებით თამამ რუსულ გარემოში, სადაც ადგილობრივები სტუმრად ვგრძნობთ თავს? იქნებ ყოველივე ეს სიმბარია და მე სხვა მატარებელში ვარ, რომელმაც მოულოდნელად რუსულ ქალაქში ჩამიყვანა? და მაშინ, მენ, მუთხველო, იქნებ დამხმარო – შემანჯღრიო და გამაღვიძო?

დავით გიბინიშვილი,
11-12 აგვისტო 2023 წელი

სამმართველო სამუშაოები გაგრძელდება მანამ, სანამ მსიკრიდი თეორიული შანსის კი იქნება მოქალაქეების პოპონისა


„გრძელდება 7 დაპარკული მოქალაქის სამიშრო სამუშაოები. ვარდაცვლილი მიცვალებულნიდან 23 უკვე იდენტიფიცირებულია. საქართველოს პრემიერ-მინისტრის მითითებით, სამმართველო სამუშაოები გაგრძელდება მანამ, სანამ მცირედი თეორიული შანსის კი იქნება მოქალაქეების პოპონის. დარჩენილი კურორტ შოვის ტერიტორიის რამდენიმე ფრაგმენტი, რომელიც უახლოეს დღეებში დამუშავდება. პერიმეტრიც გაგრძელდება მდინარე რიონის ხეობაში“, – აცხადებს რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის გუბერნატორი პაპუნა მარგველიძე.

ქართული სამხედროები გაუშვებენ მხარეებს

საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაური სტიქის ზონაში იმყოფებოდა და შესრულებულ და მიმდინარე ძებნა-შეგების სამუშაოებს გაეცნო.

გენერალ-მაიორ ვიორჯი მათიაშვილს სავლელ მართვის პუნქტში თავდაცვის ძალების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდალმა, მრიგაღის გენერალმა ვახა ტაბატაძემ თავდაცვის ძალების პირადი შემადგენლობის ჩართულობის, მათი უშუალო დავალებების, მიზიდული ტექნიკისა და ლოკაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა.

გენერალ-მაიორი ვიორჯი მათიაშვილი საძიებო სამუშაოების ადგილზე იმყოფებოდა, ჯარისკაცებს გაესაუბრა და მათ მადლობა გადაუხადა. ძებნა-შეგების სამუშაოებში ჩართული არიან აღმოსავლეთისა და დასავლეთის სარდლობების სამხედრო მოსამსახურეები, სამხედრო-საინჟინრო ქვედანაყოფები, ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობა და ერთ-ერთი გვარდიის მე-10 კადრივებული ბრიგადის 102-ე ტერიტორიული თავდაცვის ბატალიონი.



ნიღაბი ჩამოსწილია!



სჯობს, ოკეანე გზითაქოს, ვიდრე ტლაკოში ჩაიხრჩო, აფხაზეთო!

რუსეთის ანექსიური ახალი დღის წესრიგი საქართველოს აფხაზეთისთვის

სჯობს, ოკეანე გზითაქოს, ვიდრე ტლაკოში ჩაიხრჩო – ეს ხატოვანი იდეოლოგია კარგად ახსოვთ მათ, ვინც აფხაზეთის ბოლო 30 წლის პროცესებს იცნობს. სწორედ მას ასახელებდნენ საქართველოსგან გამოყოფისკენ სწრაფვის საფუძვლად, მასზე დაყრდნობით მიდიოდა თამაში რუსეთ-საქართველოს წინააღმდეგობებზე. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა სეპარატისტების მზადყოფნას სუიციდისთვის, ეს უფრო ლაპაზი შეფუთვა იყო ერთი შეხედვით სრულიად რაციონალური მიდგომისა, რომ ოკეანე შესაძლოა, არც გზითაქოს და ამასთანავე, მისი ძალა შენს ინტერესში ტლაკოს წინააღმდეგ გამოიყენო. თუ გვერდიდან შევხედავთ, მხოლოდ მიახლოებით რომანტიკოსს შეეძლო, თუნდაც თეორიულად დაეშვა, რომ ოკეანე ერთ ზეწო ნაგებს მის ტალღებზე დაუსრულებლად ლიფტისთვის შესაძლებლობას



მისცემდა. და მართალია, ფორმულა მთელი ამ წლების განმავლობაში საკმაოდ ეფექტურად მუშაობდა, მაგრამ რუსეთ-უკრაინის ომის უკანასკნელი ეტაპის დაწყების შემდეგ ამ იდეოლოგიამ შემამფოთებლად პირდაპირი მნიშვნელობა შეიძინა.

კვლავ იმ იმპერიული აზროვნების გამო, რომელსაც ლეონი „ველიკოდუშავსკი რუსულ შოქინიზმს“ უწოდებდა, რუსეთი გოლომ ველია, უკრაინის ომის პარალელურად, სოხუმზე დაუფარავ ზემოქმედებას იხდის. მიზანი საკუთარი, იმთავითვე ანექსიური დღის წესრიგის განხორციელება.

და პროცესები შესამჩნევად დაჩქარებული: თუ რუსეთის მიერ საქართველოს სსრ-ის აფხაზეთის ავტონომიის ფარგლებში შემაჯავალი პაჩინა სოფლის – აიბლას მიტაცებას ათწლეულებზე მეტი დრო დასჭირდა, ახლა უკვე პიპერგენითი სისწრაფის მოვლენებს ვაღივებთ თვალს. დაგროვდა და სვლა მიეცა ერთდროულად რამდენიმე საკვანძო თემას: რუსეთისთვის მიჭვენიანაში 80 ჰექტარი მიწის გადაცემა; გაგრამ რუსული ანკლავის – „მოსკვა რისორის“ მოწყობა; სოხუმში რუსეთის მოქალაქეებისთვის 30 ათასი აპარტამენტის დაგეგმვა მშენებლობას; ასევე რუსეთის მოქალაქეებისთვის აფხაზეთში „მოქალაქეობის“ მიღების გამარტივებას, რათა მათ (კრემლის სხვა მზაკურელ ზრახვებთან, მაგალითად, სამომავლო რეფერენდუმთან ერთად) მიწისა და უძრავი ქონების შეძენა შეეძლოს. ამის პარალელურად მოსკოვი წარმატების სხვადასხვა ხარისხით აღწევს რუსი ინვესტორებისთვის ენერჯეტიკის ობიექტებისა და აეროპორტის გადაცემას საქართველოსა და რუსეთის შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენასთან ერთად... მოსკოვმა ყველა ეს სურვილი სოხუმის წინაშე პრაქტიკულად სინქრონულად დააყენა.

ჩნდება კითხვა: რატომ აქ და ახლა? რუსეთი ხომ მისთვის უპრეცედენტო ლიბერალიზაციით მთელი 30 წელი ევოლუციონობდა სოხუმს და დიდად არ აჩუხებდა არსებული სტატუს-კვო, რომელიც შესაძლებლობას აძლევდა, არა მარტო სოხუმში, არააქედ თბილისში „მოქალაქეობა“ ჰყოლოდა...

საქმე იმაშია, რომ უკრაინის ომის ბოლო ფაზამ დასავლეთთან მოსკოვის ურთიერთობებს საბოლოოდ დაუსვა წერტილი. ყველა „ჩითელი ხაზი“ გადაკვეთილია, ნიღბები – ჩამოსწილი და ყველასთვის ნათელია, რომ ამ მიმართულებით ვითარების გაუმჯობესებას ათწლეულები დასჭირდება. შესაბამისად, საერთაშორისო სამართლის ნორმების თუნდაც მინიმალურმა დაცვამ, უფრო სწორად, თავის მოკატეგორიზაციას მოსკოვისთვის ყოველგვარი აზრი დაკარგა. ამასთანავე, რუსეთს, რომელიც დიდი ხნით ჩაფლავდა უკრაინაში, კარგი საბაზისი სტირდება შიდა სტრატეგიის შესანარჩუნებლად. „პარტიოტი“ პრივილეგიის ამასწინააღმდეგო ჯანყი ხომ საშიშ პრეცედენტად იქცა კოლექტიური რუსული იმპერიული სულისკვეთების გამოვლინებისა, რომელიც უკრაინაში განცილებილ წარუმატებლობებით გამოწვეული რისხვის ფრეფრევისა მზადაა, „ეროვნული ლიდერის“ რანგში აღზევებულ პუტინზე კი აღმართოს ხელი.

აიბლასში პირველი უპრადო იძულებულია, რა იმე მხრივ ნარკოტიკით მიხსნა შალაპაგოს, შარავილს უკრაინაში დასახული თავდაპირველი მიგრანტის ვარიანტი და ამ პუბლიკაციის დროს არაფერი არ აქვს: არსებობს ორი ძირითადი რეჟიმი, რომელიც, რეგორს რუსეთში თვლიან, დიდი ხანია, „პიკაპი უღვით“ და რეჟიმი მხოლოდ ერთი რაგ – ეს სათანადოდ გაფორმდა.

მაგრამ კრემლმა აფხაზეთზე სრული კონტროლი ჯერ ვერ მოიპოვა, განსხვავებით ცხინვალისგან. სოხუმში ამ დრომდე ინარჩუნებს გარკვეულ ავტონომიას ადგილობრივი დონის გადაწყვეტილებების მიღებაში და ჯიუტად ეწინააღმდეგება შესაძლებლობას, იქცეს რუსეთის მორიგ რეგიონად – თუნდაც გარკვეული პრეფერენციებით, მაშინ, როცა ცხინვალის – რუსეთის მიერ ოკუპირებული მთელი ქართული რეგიონის ხელისუფლება პირიქით, რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლის სურვილს აცხადებს. და მართალია, მოსახლეობის რეალურ განწყობებზე საუბარი რთულია, მაგრამ სოხუმისა და ცხინვალის პოპიციებს შორის გარკვეული სხვაობა თვალნათელია: ცხინვალისთვის საკმარისია, მიიღოს ის, რაც სადღეისოდ სოხუმს გააჩნია, კერძოდ – უხვი დოტაციები და ავტონომიის მისაღები პირობები.

საქმე ისაა, რომ 2008 წელს ქართული მოსახლეობის ნარჩენების საბოლოო ეთნოქმედის შემდეგ, ცხინვალის წარმოადგენს ფაქტობრივად დაცარიელებულ მონოეთნიკურ ტერიტორიას, რომელიც მთლიანად მოსკოვის კმაყოფილება. ამასთან, გეოგრაფიით, მუნდური პირობებით, დემოგრაფიითა და ამ ფაქტორების ერთობლიობიდან გამომდინარე ეკონომიკური პოტენციალით რეგიონი მთელს რეგიონს როგორც ოსური დომინაციის დაკარგვის საფრთხეს, ისე ეკონომიკურ პერსპექტივას, რომელიც თვალსაჩინო მომავალში ამ მიდებულ კუთხეს ახალ მცხოვრებთათვის მიმზღველად აქცევდა და ამით ოსურ დომინაციის კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა. ამდენად, ცხინვალის საკითხის გადაჭრა მოსკოვისთვის ადვილია – საკმარისია პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება და შესაძლოა, არც არავის დაყალიბება არ დასჭირდეს.

თუმცა ცხინვალის არ წარმოადგენს იმ მსუყე ლუკმას, რომელიც რუსული იმპერიული შოქინიზმის ჯინსი დაანაყნებდა. სულ სხვაა აფხაზეთი – პატარა სამოთხე, თავის დროზე – ყველაზე ცნობილი საბჭოთა კურორტი. და ადგილობრივი რუსულ პროპაგანდას არ გაუჭირდება, უკრაინაში წარუმატებლობის ფონზე აფხაზეთი ელექტორატს რუსეთის სილიადასთვის შესაფერის შენაძინად მიახლოს. რაც შეეხება საქმის პრაქტიკულ ნაწილს, აფხაზეთს, მისი 200-ზე მეტიკილომეტრიანი სანაპიროს გათვალისწინებით, ცხინვალისგან განსხვავებით, მაღალი ეკონომიკური პოტენციალი აქვს – ტურიზმის, ტრანზიტის, ენერჯეტიკის ჩათვლით... ყველაფერთან ერთად, აქ მნიშვნელოვანია პუტინის პიროვნული ფაქტორიც: საყოველთაოდ ცნობილია, რომ მისთვის დასვენების საყვარელი ადგილი – სოჭი საზღვრიდან სულ ოციოდე კმ-ში მდებარეობს და რომ პუტინი მტრის რაკეტების ფრენის სიშორის თვლითაა შეყვარებული. გულსამარჯყებელია ეს ნაღვლით სავსე თვალეტი, როცა პუტინი საზღვარს მიჭვენიანაში და გაგრამდე კილომეტრებს გასცქერის... აფხაზეთში, რა თქმა უნდა, ეს იმით, რომ ახლოვდება „X მომენტი“. ამდენად, რუსეთისთვის აუცილებელია, სასწრაფოდ გადაჭრას სოხუმის წინააღმდეგ დაყენებულ საპროპაგანდას ოს ნაწილი მიხსნა, რომელიც რეჟიმში დემოგრაფიულ სურათს მოსკოვის სასარგებლოდ შევსოს. ეს კი, ცხადია, რუსეთის მიერ ოკუპირებული ამ ქართული რეჟიმის საგოგოოდ შთანთქმის 30 წელი გა-ვიანებული პროცესის დასასრული იქნება.

შეგახსენებთ, რომ აფხაზეთში განხორციელებული ეთნოქმედის მიუხედავად, მოსახლეობა მაინც მულტიეროვნული რჩება. თუმცა აფხაზეთის გარდა, ყველა დანარჩენი ეროვნების წარმომადგენლები მართალია, სხვადასხვა ხარისხით, მაგრამ უფლებრივ შემადგენელს განიცდიან, რაც მათ რუსეთის უნებლო მოკავშირეებად აქცევს. მოვლენათა რუსეთთან მიერთების სცენარით განვითარება კი აფხაზეთისთვის ძალაუფლებაზე მონომოლიის, ადგილობრივ რესურსებზე კონტროლის დაკარგვის და რაც კიდევ უფრო უარესია, უფლებრივად ყველა სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან გათანაბრების ტოლფასი იქნებოდა, ეს კი მათ თვალში ეროვნულ კატასტროფას ნიშნავს.

რატომ თქმა უნდა, მოსკოვი აფხაზეთის მიტაცებას საკუთარი „მოქალაქეობის“ ხელით ისურვებდა – ისევე, როგორც ყირიმის შემთხვევაში. ნაკლებ საფარულად ვარაუდობს რუსეთ-გელარუსის საკავშირო სახელმწიფოში მიწვევა, რადგან ეს ნაბიჯი პუტინის მხრიდან სასოწარკვეთის აღიარება იქნებოდა: მას ხომ დიდი ხანია, მოგზავდა ლუკაშენკოსთან ჯიუტი მოკავშირე, რომელიც ნაწარმი ანალოგიის რეალიზების შესაძლებლობას არ აძლევდა. თუმცა შიდა ვითარება საკუთარ წესებს ჰკარნახობს: ახლოვდება მორიგი არჩევნები და პუტინისთვის აუცილებელია, იმპერიის გაფართოების დემონსტრირება მოახდინოს. ამასთან, ყველასთვის, ლუკაშენკოს ჩათვლით, ნათელია, რომ თანასწორობას და რუსეთთან საკავშირო სახელმწიფოებას თამაში ჩვეულებრივი მსგეფია. როგორც ჩანს, ლუკაშენკო, სოხუმის მსგავსად, მთელი ეს წლები პუტინის მოთაფვლას და დარტყმის სხვაზე გადატანას ცდილობს – თუნდაც უკრაინელების ხარჯზე.

შეგახსენებთ, რომ პუტინმა და რუსეთის ხელმძღვანელობამ ანსეგობის უფლება „ჩამოართვეს“ 40-მლნობიანი უკრაინელი ხალხს, რომელიც „არასრულფასოვან რუსებად“ და „ავსტრია-უნგრეთის ანტირუსული ინტრიგების ხელოვნურ პროდუქტად“ გამოაცხადეს. მეტიც, კრემლში ამბობენ, რომ ევროპის ტერიტორიულად უმსხვილესი სახელმწიფო უკრაინა „ლენინის მიერ გამოცხადებული წარმონაქმნი“ გასაოცარია, არა? რუსეთი ხომ სულ ცოტა ხნის წინ აღიარებდა უკრაინული სახელმწიფოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას, მასთან ათობით სახელმწიფოთაშორისი დოკუმენტი ჰქონდა გაფორმებული, მოქმედებდნენ საელჩოები... მაგრამ ეს ყველაფერი სწრაფად დაივიწყა... ამგვარად, თუ სოხუმში რუსეთთან საკავშირო სახელმწიფოში ან ნებისმიერ სხვა „თანასწორუფლებიან“ კავშირში გაერთიანების ნაკლებ საფარულად წინადადებას მიიღებს, ეს მხოლოდ ფარატინა ქალაქი იქნება მოსკოვისთვის ნულეობის მნიშვნელობით.


ორივე ეს ვარიანტი – დემოგრაფიული ექსპანსია, შემდგომი რეფერენდუმით ან საკავშირო სახელმწიფო – აფხაზეთის შთანთქმის შედარებით უსისხლო შესაძლებლობებია. მაგრამ თუ მშვიდობიანად ვერ გამოვა, ჩვენ, მაღალი ალბათობით, კვლავ გავხდებით ნებისმიერი საბაზით ან სულაც მის გარეშე „მშვიდობისთვის იძულების“ მორიგი ოპერაციის მომსწრენი. მეტირისთვის წარმოუდგენელი ომი უკრაინასთან, რომელსაც რუსეთი სულ ცოტა ხნის წინ „ყველაზე ახლოვებულ და მოძმე ქვეყნად“ მოიხსენიებდა, ამის ნათელი მაგალითია!

და მიუხედავად იმისა, რომ კრემლის სადღეისოდ თბილისის გაღმობიანება არ აწყობს, გამოიჩინებულა არაა, აფხაზეთის ანექსიის ნაბიჯის გადადგმა მაინც მოუწიოს, რადგან რუსეთს ახლა ორ მართებებს შორის ნაკლები არჩევა უწევს, ასეთს კი მისი შიდა არასტაბილურობის საფრთხის ფონზე უდავოდ წარმოადგენს საქართველოს სამოლოდ დაკარგვა.

აფხაზეთისთვის, ერთი შეხედვით, თითქოს გამოუვალა მდგომარეობა ყალიბდება და ერთდღითი შანსი იმ ავადსახსენებელი ოკეანის მიერ შთანთქმის ნადავლად წარმოადგენელი გზით გადაადგება. თუმცა, რეალური საფრთხის მიუხედავად, მდგომარეობას უიმედოს ვერ დაარქმევ. საინტერესოა, ეს იმით არა სოხუმში, რომ შექმნილი მდგომარეობა მას უპირველესად – თბილისის, ასევე ევროკავშირისა და თურქეთის სიტუაციურ მოკავშირედ აქცევს? „ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარიაო“, – უთქვამთ ლათინელებს.

თბილისისა და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ არაღიარება სულაც არ ნიშნავს, რომ მათ არ სურთ, რუსეთის ანექსიურ ზრახვებს შეუშალონ ხელი. ამდენად, სოხუმმა მსოფლიოს უფრო ფართოდ, სასურველია, თავისი და არა რუსეთის თვალთ შეხედოს, რადგან ანექსია აფხაზეთი ეთნოსისთვის ყველაზე ტრაგიკული შედეგის ტოლფასი იქნება.

რაჟდენ ძაჯანია



ეს ისა, უბრალოდ!..

ანუ პასუხი „ნაბავს“!

1. 70-იან წლებში, სსრკ სტატისტიკურმა სამსახურმა, დადო კვლევა, რომლის შედეგები გასაცნობად (ანუ, დასკვნების გასაკეთებლად) დაუგზავნა მმართველი პარტიის აპარატს.

თემა: სსრკ-ში გამოცემული წიგნების ტირაჟები.

სურათი ასეთი გახლდათ: პირველ ადგილზე – ლენინი. მეორე – მაქსიმ გორკი. მესამე – ნოდარ ღუმბაძე.

შემდეგ მოდიოდნენ პუშკინი, მარქსი და ენგელსი, შოლოხოვი და ა.შ.

2. სსრკ კავშირის ყველა(!!) მოქმედ სახელმწიფო თეატრში იდგებოდა... ნოდარ ღუმბაძე.

და ეს ხდებოდა ყოველგვარი ოფიციალური თუ არაოფიციალური ძალდატანების თუ ინსტრუქციის გარეშე.

3. სხვათაშორის, მთაწმინდაზე მისი დაკრძალვის წინადადება დაბლოკა პირადად შევარდნაძემ, რათა არ დარღვეულიყო 25-წლიანი შემღებდა. ოჯახმა ეს გადაწყვეტილება მიიღო ღირსეულად!!!

ვიმეორებ: უღირსეულესად!!!

ზოგიერთიგვით ისტერია არ აუტყავს და არავის კამინეტი არ აუტალახებია.

4. ნოდარის გადასვენება მთაწმინდაზე მოხდა სააკაშვილის ხელისუფლების ინიციატივით(!!) და მის დროს(!!).

დაბოლოს, ის ვინც დიდ ქართველ მწერალს, უნადდეს მთაწმინდელს, სიყვარულის, სიკეთის, პატრიოტიზმის და უმაღლესი ზნეობის მქადაგებელ მწერალს პოლიტიკური მიზნით, შურით გამსჯელებული აუგად იხსენიებს, განდა იმისა რომ უწიგნურია და გამსჯდარი აქვს შუბლის ძარღვი, უმრალოდ, გახლავთ, არც მეტი, არც ნაკლები... ნაგავი!

წერტილი!

ნუგზარ ფოფხაძე

ნოდარ ღუმბაძის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი ქართი ღუმბაძისადმი მილოცვას აქვეყნებს, სადაც კულტურის სფეროს წარმომადგენლები მას მწერალთა სახლის ხელმძღვანელად დანიშნავენ ულოცავენ.

„კულტურის სფეროს წარმომადგენლები ქეთევან ღუმბაძეს წარმატებას ვუსურვებთ. ქეთევან ღუმბაძე ლიტერატურებისა და მწერლების დიდი ოჯახის წევრია. სტუდენტობის წლებიდან მოყოლებული, მონაწილეობდა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მინდობილ საქმეს მთარგმნელობით კოლეგიაში თუ სატელევიზიო ჟურნალისტიკის სფეროში. როგორც ავტორი და პროდიუსერი, ურთულეს წლებში, დიდი რისკის ფასად ამზადებდა აქტუალურ და პრინციპულად მნიშვნელოვან გადაწყვეტებს, რომლითაც ავტორიტარულ რეჟისს უპირისპირდებოდა.

ქეთევან ღუმბაძე მუშაობდა კულტურის სამინისტროში, ლიტერატურული სფეროს მრჩეველად და არაერთი სასიკეთო საქმე გააკეთა თანამედროვე ლიტერატურის, წიგნისა და ავტორთა პოპულარიზაციისთვის. პროექტით „ცოცხალი წიგნები“, უკვე აღიარებულ თუ ახალგაზრდა ავტორებთან ერთად, მან საქართველოს თითქმის ყველა მუნიციპალიტეტი მოიარა. თანამედროვე ავტორები უკვე მერვე წელია ხვდებიან საზოგადოებას, მკითხველებს,

მხნელ, ქეთი ღუმბაძე!



ახალგაზრდებს საქართველოს ყველა კუთხეში, უნივერსიტეტებში, სახლ-მუზეუმებში, სკოლებში. ამავე პროექტის წიაღში შეიქმნა „მწერლის თეატრი“, რომელიც თავდაპირველად მონაწილეობის თეატრში იმართებოდა, ახლა კი თეატრის თეატრში იმართება. ამავე პროექტით ქართველი ავტორები მონაწილეობენ ლიტერატურულ ფესტივალებში იტალიაში, გერმანიაში, შვედეთში, ისრაელში, თურქეთში, ხვდებიან ქართულ სათვისტომოებს, საკვირაო სკოლებს, მონაწილეობენ მთარგმნელობით ვორკუპებში. ქართველი ავტორების არაერთი კრებული გამოცემა უცხოეთში, რომელთა თარგმანის

ხელშეწყობაც სწორედ „ცოცხალი წიგნების“ მეშვეობით ხორციელდება.

ქეთევან ღუმბაძის ინიციატივით შეიქმნა 120-ზე მეტი თანამედროვე ქართველი მწერლის ვიდეოპორტრეტი და უნიკალური ვიდეოფონდი. ასევე შეიქმნა დოკუმენტური ფილმი ჭაბუა ამილახვარზე, მწერლის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად. სახელმწიფო ლიტერატურული კონკურსები („ლიტერა“, იაკობ გოგებაშვილის სახელობის კონკურსი საბავშვო და საცემანწილო ლიტერატურის დარგში, „მუზა“) მისი უშუალო ინიციატივით ან აქტიური მონაწილეობით დაფუძნდა. და, რაც ხაზგასმით აღსანიშნავია: ნებისმიერ პროექტში, კონკურსში, ფესტივალსა თუ შეხვედრაში მონაწილეობისთვის, ქეთევან ღუმბაძეს არასოდეს შეუწყვეტია ხელისუფლების მათი პოლიტიკური შეხედულებების გათვალისწინებით.

გემოთქმული მხოლოდ ნაწილობრივი აღნუსხავა იმ საქმეებისა, რაც ქართული მწერლობის წინსვლისთვის ქეთევან ღუმბაძეს დღემდე გაუკეთებია. საყოველთაოდ ცნობილია ქეთევან ღუმბაძის საუკეთესო პიროვნული თვისებები – სიკეთე, გულისხმიანობა, ურთიერთობის იმეათი უნარი... სხვადასხვა თაობის უამრავ ქართველ მწერალს პირადად უგრძნობდა მისი გამორჩეული ყურადღება და გულისხმიანობა.

ვულოცავთ ქეთევან ღუმბაძეს მწერალთა სახლის ხელმძღვანელად დანიშნვას და ვუსურვებთ წარმატებას ქართული კულტურის სასიკეთოდ.

ვასილ ჩიკოვშიძე, დიმიტრი ხვთისიაშვილი, როზარტ სტურუა, ბადრი მანისუბაძე, გიორგი ღონაძე, ლევან ბრეგვაძე, ნინო საღღრაძე, ლომო გულაშვილი, მირიანა (ბურაბა) ოდიშარია, ირაკლი საბუნაძე, მამუკა ბონაშვილი, ბაბაქანი არაბული, ბურაბა ბათიაშვილი, სვიმონ ჯანაშვილი, ლალი სეთურიძე, ალექსანდრე ქანთარია, გიორგი გიგაშვილი, ბაბაქანი გულაშვილი, გიორგი კალანდია, მარგალიტა ქუთათიაშვილი, გიორგი ხარაბაძე, გიორგი სინარულიძე, ნანა ფაჩუაშვილი, მამუკა იოსელიანი, ირინე ლომინაძე, შარანაძე მარსია, ლეონი ალიბეგოვიანი, რაულ ჩილაჩავა, მიხეილ ჯანაშვილი, მანანა კვაჭანტირაძე, რამინ მიქაბერიძე, ამირან არაბული, მანანა პაიჭაძე, მარიამ ხუციშვილი, ლევან თაბატაძე, გიორგი თაბატაძე, გორბა კახაბაძე, პაატა გულიაშვილი, ნიკოლოზ საბაშვილი, ირაკლი კიკვაძე, იონა ხუციშვილი, ნიკოლოზ პაინე-შვილიძე, ნინო ხოფერიძე, ლევან ლორია, გიორგი ლოგუნიძე, მარიამ ნიკოლაური, ფარანოზ რაინაული, ნორა სინარუ-

ლიძე, ნოდარ არღოთელი, მანანა კარტოზია, ლია მებრძოლი, სალომე კახანაძე, გივი ჩიქვიანი, ნინო მხომლოვაძე, გიორგი სოსიაშვილი, ვახტანგ ნიკოლაძე, დავით ნიკოლაძე, ვახტანგ ჯუღელი, ნინო მარგალიტა, მარინე ცხველიაშვილი, საბა ასლამაზიშვილი, მანანა პერიკაშვილი, დავით ანდრიაძე, ბაბაქანი ფოცხიშვილი, ბადრი ქუთათიაშვილი, ჯამალ კუხაბაშვილი, ეკა ჭკუბანიძე, ირაკლი გორბა, ბურაბა ცირცვაძე, გიორგი შავიერაშვილი, ლაშა ჩხარტიშვილი, გიორგი ყაჯრიშვილი, ლევან როგვაძე, მიხაილ მრავალიშვილი, ელენე მაცხუნაშვილი, ვახტანგ ფილფაძე, ვანო იანტაბელიძე, ლეონი რაზიკაშვილი, დავით შამოქაძე, გივი ფალიანი, თამაზ დაუშვილი, იონა ჩხარია, გიორგი ბურბულია, ხალხური სიმღერის ანსამბლი „დიდგორი“, ზაზა ჯინჭარაძე, ნინო (დოლო) ხურცილავა, მანა მიძაბერიძე, ბაბაქანი მდინარაძე, ვაჟა მუხაძე, ნუგზარ ხურაშვილი, ხათუნა კიკვაძე, ლალი თაბატაძე, ნიკოლოზ ფანიძე, რაზო იუპურიძე, სპარტაკ ძოგულია.



მანაგაძეების სარეზერვუარი პროვულ ბოტანიკურ ბაღს

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის სამეცნიერო ბიბლიოთეკას ქართული ლანდშაფტური დიზაინის ფუძემდებლის, ბაღის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ადგილის შემქმნელის გიორგი მანაგაძის შთამომავლების ინიციატივით მნიშვნელოვანი და ღირებული წიგნები შეგება

მშენებლობას 1947 წელს ჩაუყარა საფუძველი და დღეს ბოტანიკური ბაღის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი და მნიშვნელოვანი საჩუქრისთვის.



გიორგი მანაგაძე ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გახლდათ, რომელმაც ბოტანიკური ბაღის ერთ-ერთ მთავარ ღირსშესანიშნაობას – პარტერის

რელ და შთამომავლებს ადგილობრივ ითვლებს. გიორგი მანაგაძის პირადი ლიტერატურა, რომელიც დაკავშირებულია, ლანდშაფტის დიზაინთან, ევოლოგიასთან და ბაღის დეკორირებასთან უკვე საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ბიბლიოთეკაში იქნება დაცული, რაც უდაოდ დიდი საჩუქარია, როგორც დარგის სპეციალისტებისთვის, ასევე დაინტერესებული პირებისთვის საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის მადლობას უხდის ნინა და თინა მანაგაძეებს ასეთი მნიშვნელოვანი საჩუქრისთვის.

ქართველი სტუდენტები ევროპასა და ამერიკაში გააგრძელებენ სწავლას

პანანის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე პროგრამა – „სწავლა საზღვარგარეთ“ კონკურსის გამარჯვებულებს შეხვდა. პროგრამა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2014 წლიდან ხორციელდება, – ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის მთავრობის ადმინისტრაციის ავრცელებს.



გამარჯვებული სტუდენტები სწავლას გააგრძელებენ გერმანიაში, ამერიკის შეერთებული შტატების, ბელგიის, გაერთიანებული სამეფოს, ლიეტუვას, ფინეთის, ესპანეთის, ესტონეთის და ჩეხეთის წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, როგორცაა – კემბრიჯის უნივერსიტეტი, ლონდონის გოლდსმიტის უნივერსიტეტი, გლაზგოს კალედონიის უნივერსიტეტი, დრეზდენის გამოყენებითი მეცნიერებათა უნივერსიტეტი, მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტი. 2023 წელს „სწავლა საზღვარგარეთ“ პროგრამის საგრანტო კონკურსში მონაწილეობდა 33 კონკურსანტი, რომელთაგან გამოვლინდა 17 გამარჯვებული. 2023 წელს პროგრამის მიუხედავად და სტუდენტთა რაოდენობა ყოველწლიურად მზარდია.

არა, უნდა წავიდე, წავიდე „იქ“ შემოვლილი ვიყო, სწრაფად შემოვიხვიე ყელზე ლურჯი, მრავალსმეტყველი ქალაქი, შემოვიხვიე ლამპოს ნახევარზე შავი „დუტის“ მოსაყმელი ე.წ. „კურტკა“. სინქარები დამავიწყდა ჩემი შავი თავსაბურავი და გაჩეჩილი თმებით მივრბოდი „იქ“. რა მდენიერი ვიყავი ჩემი მართობით იმ წუთებში და რა უბედური ყველაფრის გამო. ეს იყო პირველი შემთხვევა, მათი განდაცვალებიდან, რომ მე სრულიად თავისუფალი, მართო ვყოფილიყავი პირისპირ ჩემს საყვარელ ადამიანებთან, რომლებთანაც ზევნი მქონდა სათქმელი...

ამასობაში დილის განთიადები შემომრძანებულყვნენ... ვერც კი შევნიშნე, როგორ დამათენდა თავს და როგორ მიიშალა ღამის წყვილიდან შეპყრობილი, დაუნდობელი, შავი უკუნი ღამე, რომელიც ჩემთვის ყოველთვის თეთრია... გვრძობდი, რომ ძალიან მელოდა და სახლის პირველ სართულზე, კიბეებზე მოურიდებლად დავუჯექი. ცოტა ხანში ჩემ წინ წითელი ფერის პატარა მანქანა გაჩერდა. დაეინახე თუ როგორ მორბოდა ჩემსკენ ვიღაც, ვერ ვიყავი, ის კი აღვლევებული მჭვინთებოდა: „მერი დეიდა“ ვის ელოდებოდა, ლიფტი არ მუშაობს? ცუდად ხომ არ ხართ? მე ავიყვანო.

არა, არა მე „იქ“ მივდივარ და პატარს ველოდები-მეთქი მოვატყუე. ამ დროს მან ტელეფონი ამოიღო და როცა მიხვდა რასაც აპირებდა, გამოგვლიქ ხელიდან, არ გამელო პატარასთან დარეკვა, მას ვუღიღინე და „იქ“ საღამო მივდივარ მართო უნდა მივიდე-მეთქი, მართო, ვერ გაიგონე? წაიღე შენი გზაზე-მეთქი და როცა თვალში ჩავხვდი მაშინვე ვიყავი ჩემი გია კენტოზიელი – მეთევზე, ამჯერად მტკვარზე მიეჩქარებოდა. ვუღიღინე და ყველაფერი მოუყვები მონარტული შვილის შესახებ. მას სიყვარულით „კენჭიკას“ ეძახდნენ. ეს ის „კენჭო“ იყო, რომელსაც 7 თვის განმავლობაში ერთი დღეც არ ჩაუგდია, რომ ლამპოსთვის ცოცხალი თევზები არ მოეტანა, ყოველ-დღე და რომ ეგონა, რომ ლამპო ამ თევზებს სიამოვნებით მიირთმევდა-მეთქი მოვატყუე. საცდელადაც კი 1 ლუქმაც არ გაუსინჯავს, იმიტომ რომ ვერაფერს, ვერაფერს ჭამდა... „კენჭიკას“ კი მისთვის ჩვეული იუმორით ხვდებოდა და დააყოლოდა: „სისხამ დილით მადით ხელში...“ შეისვენებდა და როცა სუნთქვას აღიდგენდა დაამთავრებდა: „ვენაცვალე ჩემს მშა-ბიჭებს“, არ ფიქრობენ...“ და საუბარსაც წყვეტდა... ტირილი კენჭოც, ტირილი ლამპოც და ვტიროდი მეც. სხვა დღეებში „კენჭიკამაც“ შეყვითარა სახლში ამოსვლა და ცოცხალი თევზებს ლიფტთან ნებისმიერ მხანგველს გამოატანდა. ეს გრძელდებოდა განდაცვალებამდე ყოველ დღე...

კარგა ხანს ვისხედით ვაჭრებზე, დადუმებულები ვიბის ცივი ქვის ფილაზე. ისეც მან დაარღვია დუმილი და კანკალით მიიხრა! „წავიდეთ მერი დეიდა, მე ვიცი თქვენ სადც მიდიხართ და ვთხოვთ უარს მე შეტყუებით, მეც ძალიან მომიტყუებ ჩემი „კავლა“ და ერთად წავიდეთ, წამოხმევით, ვთხოვთ“... უსიტყვოდ დაემორჩილა და ჩავხვდი მანქანაში... გზაზე უკვე მეყვავილებს გამოეფინათ სხვადასხვა ფერის, ზომის ყვავილები, კალათები... ყვავილები, ყვავილები, ძლიერი, რომ მიკლავდნენ გულს და მე, რომ არანაირი სურვილი არ გამაჩნდა მათთან შეხების. ვიამ გაჩერა მანქანა, ჩემთვის არაფერი უკითხავს და როცა დამხრუნდა ხელში ორი დიდი თეთრი ვარდების თაიგული ვიწარი. ო, ღმერთო ჩემო! ნუთუ აქაც დამთხვევაა. გამასხენდა, ლამპომ სიმზარში, რომ მიიხრა „დამა-ვიწყებდა ვარდებიო“ ე. ი. ლამპოს არც თეთრი ვარდები დაეწყვიდა და არც ღვინის გუთავებზე ტირილზე გამზარებულა? ეს ხომ სრულიად მუხრამივად მოხდა და არაფის კანახით? როცა „კენჭომ“ თაიგულები მუხრამივად შორის გადაანაწილა მიხვდი, რომ ჩემი ლამპო არაფის გა-მზარებდა და მიუთმეტეს მე რამდენიც არ უნდა ვტირო, ის დარწმუნ-დებოდა, რომ ჩემი ცრემლები მას არასდროს დაახრჩობს, რადგან ის უკვე მირონად არის ქვეყლა...

როცა ჩემი თხოვნით „კენჭომ“ მართო დამტოვა სასაფლაოზე მიხვდი, რომ სრულიად თავისუფალი ვიყავი ყველასგან... ხოლო შავი ქვის ლოდზე დამჯდარი მთლიანად გადავიხვიე ჩემი ოცნების, წარსულის, მოგონებების, დაუსრულებელი ფიქრების ისეთ მონაცემში, რომელსაც უსასრულოა შვილი... შორიდან კი მისვლიდა ერთდროულად ამღვრებული ფრინველთა ხმა. ვერ ვხედავდით რომელი ჩიტი იყო, მერცხალი, მწყერი, მტრედი, შაშვი, იაღონი, ტორლოა ან კიდევ მეთქი სხვა. მე ვეძებდი წვიმაში გაქურწული პატარა ჩიტს, რომელიც ერთ დროს ლამპოს თათში ფანჯრის რა-ფაზე დასველებული ვიპოვე. მე ხელში ავიყვანე, ვეფერებოდი და ვეხ-ვეწებოდი: „ჩემო ბედურა ჩიტო, ჩემთან დარჩი და გაათბე.“ ამ მაგალო-



ციცინათელა და ზებელა, ანუ ამბიკვობა ცისა და მიწის...

(დოკუმენტური ნოველა)

ბელ ფრინველებში ყვავების საშინელი ჩხავილიც მისმობა“ ისეთი გულს რომ მთლიანად დაგიფლთავდა, შემდეგ ისეთი კენჭის შემომქსმა, რომ მეგონა ვინმე სულიერი მართლაც უსტკვენდა. და, ეს სტევნა ისეთი გულ-შიჩაქმდომი იყო, ჯადოსნური პაუზებით, რომ მთლიანად დაგატყვევებ-და. ეს ბუღბუღი იყო და ყველა დამთანხმებდა იმში, ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია მასთან შეხება, დარწმუნდებოდა რომ, მაგალომელთა „მეფე“, მარ-თლაც ცოცხალი ადამიანებია, რომ კენჭისა და მოკლე პაუზებით, ლერ-წმის სალამურზე აკვნივებოდა გადამტყდარი ფრინველი გახლდათ, ამ-იტომაც აღადრება მწერალი ვასილ კაშმაძე ვანო სარაჯიშვილს ამ უკიდ-ვეზოდ ადამიანებით ამტყვევებულ ფრინველს. აჰ, დაწერა კიდევ: „ის ბუღბუღი ვანო იყო, ვანო ხმანარანი, ვანო ლერწმის სალამურზე კენჭით გადამტყდარი.“

ასეთ საოცარ განცდებში, ფიქრებში სულით- ხორცამდე სრულიად ჩა-ძირულმა ვიგრძინე მარჯვენა მხარზე თუ როგორ დამახსრა, დამენასკვა ძალიან, ძალიან უჩვეულო, გამოჩენილი მოზრდილი მწერი თუ ჩიტი? არა, ჩიტი ნამდვილად არ იყო, არც პაწაწინა მწერი. მაშ რა იყო გაფრე-ნას, რომ არ აპირებდა? ჩემი მხარზე ისე იყო გაიწივდა, რომ გვერდში მი-რაღაცა მიმანაწივებდა თავისი იდეალი „ლექსიკით“ და ეს გასოუხრობი „ლექსიკა“ მხოლოდ ფრინველებს აქვთ ერთმანეთისთვის თავიანთი „ჟეს-ტიკულიკით“. მოძრაობით, მგერებით გამოხატული. მაშ მე რა ვქნა? როგორ გავიგო რა სულიერი მიზნობა მხარს და მართლაც არ მტოვებდა? მო-ვიფიქრე და ძალიან ფრთხილად აეჩიე მარჯვენა ხელი და სწრაფად დააგსნი-მარჯვენა მხარს. სულ მალე ჩემ გაყინულ ხელის გულში მოვიწყვდი ის უმწეო არსება. თითქმის არ ვშლიდი, მემინოდა, რომ არ გაფრენილიყო ის იდეალი... არ ვიცი მწერი იყო თუ ფრინველი... არ ვიცი... ჩემი დი-დი ინტერესის მიუხედავად, ვინ მოინდობა იმ ძნელ წუთებში ჩემი მარ-ჯვენა მხრის ტყვეობა ყოფნა, მე ხელს მაინც მაგურად ვუქურდი მემითი-და, რომ არ ჩასულიყო ჩემთვის გამოყვანილ დარწმუნებულ სინამდვილეში

კი ვიფიქრობდი, რომ ყველაფერი საუკუნის მერვე საოცრება იყო... ღრმად ჩაფიქრებულმა დაინახე, რომ მარცხნიდან ჩემსკენ მოფ-რინავდა ჩემი პატარა ციცინათელა, რომელიც ისე ანთებოდა და ჩაქრებოდა, რომ თვალის ერთ გაღვებმასაც რამ ვასწრებდი. პაწა-წინა ფრთები გამალა, მოფრინდა ჩემთან რამდენიმე წრე შემოხა-ზა მისთვის ჩვეული კველუცით, თითქოს რაღაც მიიხრა, ისეც გა-შალა ფრთები და უკან გაბრუნდა, მე კი დავედევნე და ვყვიროდი: „არა, ჩემო ციცინათელა, ჩემო საყვარელო მიჭუნა“ არ ჩახვიდე, არ დამტოვო, გთხოვ, შენმა შორით ნათვამ სულ დამწვა და და-მინელა“. ერთ ხელში ლურჯი ქალაქია მჭვინა და ვაფრთხილებდი სულ მალა-მალა და ვიფიქრობდი: იქნებ იცნოს-მეთქი, მაგრამ არა და არა, მივსდევდი მანამ სანამ ცის კამარს არ მიფიქვარა, ის მიფრინავდა შორს, შორს ღმერთებთან... ზეცაში.

არ ვიცი ეს საუკუნის მერამდენე საოცრება იყო... დადუმებუ-ლი, თითქმის გათიშული უბნოდ ჩამოვდი, არ ვიცოდი სად და საითკენ მივექანებოდი. მივდიოდი, მუდმივად უკან ვიხედებოდი, მაგრამ ამოდ, ის არ ჩანდა... საკმაოდ გრძელი მომეჩვენა გზა, რომელიც საუკუნის საფლავებთან მიმიყვანდა. ისეც „ის“ თეთრი ქანდაკება დამეხმარა საყვარელ ადამიანებთან მიხლოებაში. უკვე გამახსენდა, რომ მარცხენა ხელის მუშტში, რომელსაც ვერანაირად ვერ ვხსნიდი შეფარებული მყავდა, უკვე ჩემს ხიზნადქვეულ, სრულიად უცხო, უმწეო არსება. ძალიან მოვიკრიბე და ფრთხილად, მთლიანად გავშალე ხელის გული და ო, საოცრება, ის უმწეო, პატარა მწერი ისევე სუნ-თქავდა, ტოკავდა და სრულიად არ ფიქრობდა თუ არ შეეძლო გაფ-რენა... დაეაქცენდი და კარგად დაგაკვირდი. ის ულამაზესი პეპელა აღ-მოჩნდა. როგორ მიხლდა სრულიად თავისუფალს რაღაც იდეალი ძალია აღმოჩენა და გაფრენილიყო, მაგრამ ვერ ახერხებდა. დაეწმუნებოდა, რომ ეს ნამეცხეა, პაწაწინა ციცინათელა და პეპლები ჩემთვის მწერები კი არა და, ისინი ჰაერში მძლავრად, მძლავრად მფრინავი ფრინველები იყვნენ. ამიტომაც მოფრინავდა ადრე ჩემთან სხვა დიდი ჭრელი პეპე-ლა. იგი ჩემსა და ჩემს „ციცინათელას“ შორის შუამავალი ერთგული დარჩა და მეგობარი იყო. ჯერ მე მომიყვებოდა „ჩემი ციცინათელას“ ამბებზე, შემდეგ „ციცინათელა“ და სხვებს უამბობდა „დაჯუჯრებელი“ ისტორიის შესახებ... მე კი ის პატარა პეპელა ავიყვანე ხელში და ლამპოს საფ-ლაგის ქვაზე სურათთან დასესვი, ის ისევე სუნთქავდა. როცა მოვინახუ-ლებ, უკვე გაფრენილი იქნებოდა...

ეს! ჩემო ციცინათელა და პეპლებო, რომ ვესმოდიტ როგორ აღ-მანთობ, როცა გვედით შორს, შორს, არ ვუშინდებოდი აღმართ-და-მართებს, გორაკებს, ბილიკებს და ალბათ მაშინ დავმარცხდი, როცა ეს სტრინიკები ქალაქზე გადმოვიტყე. რადგან ჩემო ოქროს მიჭუნა“, როცა შენ აირჩიე ის გზა- ქრისტეს გზა, თავადვე გარდაიქმენი ციცინათელად, როცა შენმა გაფრენა გადაწყვიტე და მართო ღვინა შეელო შენთვის სიმოლურად და ალეგორიით მოვედენა ახალი სახელი, ზეციური სახე-ლი, – ციცინათელა, თორემ ამტყვევებოდა ყველა კარგად ვიცით თუ როგორი „გოლიათი ლომი“ იყავი, (ზოლიათის ნიშნითაც ხომ ლომი იყავი) და რა რეაქცია მოყვებოდა შენგან ამგვარ გადაჭარბებულ ქათი-ნაურებს... ეს იმიტომ, რომ შენ დედამიწის მოველინე ნამდვილ კაცი-ყველა შენი თვისებებიდან გამომდინარე, ეს ერთეულთა ხვედრია, შენ ყოველთვის კაცუნ-კაცობის განუმოტრეველი დასტური იყავი... დანარჩე-ნი კი შენი და ჩემი მდისწერის მზალია. აწი კი, შენ ჩემთვის ყოველ-თვის „ციცინათელად გარდაქმნილი ლომი იქნები“. და არასდროს ჩაქ-რენი... არასდროს დამარცხებდი. მიუხედავად ყველაფრისა შეგახსენებ: „ჩემს სტრინიკებში სული კვლავ იწვის, ლამის მჭარბობს ცრემლით დაგნამო, სხვამ თუ არ იყის, შენ მაინც იყი ჩემო გული და ჩემო კალამი.“ როცა დასრულდა „24 საათის ამბავი ქალის ცხოვრებიდან“, როგორ ვერძინდები იმ წუთებშიც კი რა მწერი იყო იმის გახსენება, რომ ჩემი ცხოვრების მუდმივი თანდღევი ჩემი სეველიანი სიღრმეში, საბოლოოდ დასრულებუ-ლი რომ იყო, რადგან შორიდან მოჩანდა მტანჯველი ანთებული „დადა-ნი“, ჰოდა თუ სიმღერა დასრულდა, გულში ცეცხლი რად არი? სად არი, მზად არი...

ამ დოკუმენტურ „ნოველაში“ ყოველივე ცის კამაღონზე, ლერწმის სა-ლაშურზე აკვნივებული გველის „სიმღერა“ – ამოტირება იყო... ამტყვევლება ცისა და მიწის...

იყანით? ჩემი მოციმციმე ციცინათელა და ფრთა-ფარფტა ჭრე-ლი ვიპელა?
 ვიყანით, ვიყანით, ვიყანით... ექოსავით შორიდან, რომ მესმოდა... მზე ჩალიდა და სისხლით ივსებოდა...

მერი დიხამინჯი-ჯაპელიძე

P.S. ანლაქი ნინო ნინოშვილი მანამდე მქონდა დაწვეული მთლიანად შეიცვალა. რადგან თემა, ერთ დღეში მომ-ხდარ ჩემს თავგადასავალზე იყო აგებული, მთლი-ანად ისე შეერწყა ჩემს მოთხოვნას, რომ გადავწყვი-ტე ამ წინამორბედზე საუბარი.

ამბობენ: „შირად გმირებიც იტყუებიანო“ სასარე-ბაში კი შავით თეთრზე გარკვევით წერია: ტყუილით, როცა საკუთარ თავს და სხვასაც გადაარჩენ – მაშინ სი-მართლეს ძალი აქვსო“. ეს სტრინიკები მე მხოლოდ სიტყვის მასალად გამოვიყენე, რადგან დარწმუნებით ვიცი, რომ ჩემი შემოქმედება მხოლოდ სიმართლესა და ადამიანობაზეა დაფუძნებული“. ისიც კარგად ვიცი, რომ ფრინველები თავიანთ მუხას ფანტაზიებით, ეპითე-ტებით, ქვეტყუბებით, ალეგორიებით, როცა გადმოსცე-ვენ, მაშინ მიმართავენ სხვადასხვა „სტრინკს“, რათა მათ და სურთ, რომ იპირდაპირ თქვენ თავიანთი სათქმელი არა მხოლოდ მოგიყვებენ, ირჩევენ წერის იმ ფორმას რო-მელსაც კეთილი „ტყუილი“ შეგია. წერის ეს მეთოდი დარწმუნებული ვარ ყველას გამოუყენებია და ჟურნა-ლისტიკაში სრულიად დასაშვებია და მისაღება საკუ-თარი წერის სტილით, მანერით, მივიდნენ თავიანთი მით-ველებთან ისე, რომ შეკითხვები არავის დაუტოვონ, რადგან ის, ვინც არ არის პროფესიონალი, გადაჭარბე-ბული ფანტაზიები „ტყუილად“ მოიქცევა. მით უფრო, როცა შენაღვრები დედა მ წელია მხოლოდ ალეგორი-

ებით გადმოსცემს თავის შემოქმედებით მუხას მხოლოდ ფაქტებზე დაყრდნობით და წერს, წერს, უსასრულოდ ბუღბუღავს, ბალადებს, რეკვიემებს, ნარკვევებს, ჩანა-ხატებს, სურს რომ მოუახლოვდეს საკუთარი შვილის სულს. ამ ფანტაზიებში ის მხოლოდ შეგას გარძობს და ამიტომაც არის მისთვის ყველა ის მოგონება მტკივნეული რომელიც მისთვის ასე მწარედ აღქმია ამიტომ ჩავთვალე საჭიროდ, „იმ წინა პირობის“ გამოტანა, რომელიც წინ უქ-დობდა ამ წინამორბედის შექმნას.

კერძოდ, რამდენიმე თვის განმავლობაში მუსლებ-ზე დამოკიდებული ჩემი შვილის – ლამპის სულს წვინდემო-ბელს ვავედრებდი, ისე როგორც ყველა დედა მოიქცე-ობდა. ძალიან მალე ცნობილ ფოტოზე ვიხილე ჩემთვის და ყველათვის უცხო გამოსახულება. სურათი სრული-ად განკრივებული ხის ჩარჩოში მქონდა ჩასმული, სხვა ფოტოებთან და ხატებთან ერთად იყო იქ განთავსებუ-ლი, სადაც უნდა ყოფილიყო, და მის წინ სანთლები გა-მუდმებით ეწოთ. ფოტო ხელში ავიღე და ეკლესიაში გა-ვიქციე. ყველა მღვდელ-მსახურმა ერთხმად აღიარა, ეს მირონია, თქვენ ღვთისმშობელმა მინიშნება მოგცათო, შემდეგ შემოვიდა ჩემი მოძღვარი, დახვდა სურათს და მიიხრა: „დე, იყოს მირონი თუ თქვენ ასე გგონიათ, მაგ-რამ რატომღაც მე მასსოვს, რომ მირონი მხოლოდ ხა-ტებზე გადადისო“... კი არ გგონია, ეს ასეა – ხმამალა ვიყავო – დამავიწყდა რომ მე მრველი ვიყავი და ის მო-ღვარი. როცა ჩემი სულის ყივილი გაძლიერდა, ჩემთვის უჩვეულო ხმამალად ტონით დაგუწყვე შეგასუხება, ის ბავშვებით აკანკალებული ხმით მესაუბრებოდა, რო-მელსაც ვურს აღარ ვუგვდებდი. იმ წუთებში მისი სწეტ-ნციები, შეგონებები ქარს მიჰქონდა, შემდეგ ჩარჩოში ჩასმული, მირონდცხები – ლამპის ფოტო სწრაფად

გადავანოდე „უფასოსოვრე?... თან დაძინე, ის ხომ თქვე-ნი მეგობარები იყო და დარჩეს თქვენთან-მეთქი. სწრა-ფად გამოვიქციე იქედან. როცა მითხრეს რომ თურმე მი-რონის გამოქება ჩემგან სრულიად არაქრისტიანული და რელიგიურადაც მიუღებელი იყო. ძალიან შევმინდი, შევ-წუხდი არცოდნის გამო, განმამარტეს რომ, „ღვთის სას-ნაწალი“ რომელიც ფოტოზე მოხდა ე.ი კარდმოვლინე-ბაც და მარიამ დედის მინიშნებაც მხოლოდ იმის საკუთ-რებაა (ე.ი ჩემი) ვინც დიდხანს იბრძოდა, ლოცვულობდა ამ ხილული სასწაულისთვის, რომელიც ცხადვეც ის-ილა, ამიტომ „მირონდცხული“ ფოტოც თავისი ჩარჩო-თი იქ უნდა იდგეს, სადაც ღვთის ნება აღსრულდა.

ძალიან, ძალიან მიჭირდა მაგრამ მოძღვარს ტე-ლეფონით ვესაუბრე, აუუსუნე რომ ჩემი საქციელი არ-ასწორი იყო რელიგიურად, პატივბაც ვთხოვე, პოდი-შიც მოვუხადე ჩემი გაცხარებისთვის, ხმის ტონისთვის და ვითხოვე, რომ „მირონადქვეული დედის ცრემლები იქ დაიდევნებოდა სადაც ჭეშმარიტად იყო განკუთვნი-ლი, ღვთისგან ბოძებული კუთვნილი ადგილი. მოძღვარ-მა ერთხანს დუმილი ამჯობინა, მერე კი მიიხრა: „ეს ყვე-ლაფერი მეც კარგად ვიცი, მაგრამ ვერაფერი გითხა-რით, რადგან ისეთი დიდი სიყვარული ვიგრძინე თქვენ-გან, მოყვასისგან, მეგობრების მიმართ, რომ ვერაფრის თქმა ვერ შეეძლო, ყველაფერი ისე იქნება, როგორც უნ-და იყოსო“. სხვა დანარჩენი კი ამის გაგრძელება იყო ჩე-მი სინანული, მონანიება, „ლოცვა სინანულისანი“. და ჩე-მი მწარე წარსულის გახსენება, რომელიც ფანტაზიებ-ით, ალეგორიებით დასრულდა...

კულმინაცია იყო გაზეთ „საქართველოს რესპუბ-ლიკაში“ დაბეჭდილი ნოველა „მირონადქვეული დედის ცრემლები“. ვკითხვობდები ამ მძაფრსიტყველი მასა-

ლას და აღმოვაჩინე არასტატუსიანი ნამდვილი მოძღვ-რი, მან მისთვის ჩვეული ფრთხილი სიღრმე, ტაქტიკა, სიღრმით და სიზრით ერთ ნინადედებაში მიიხრა ის, რაც ვერცერთმა ეკლესიის მოძღვარმა ვერ შეძლო. მით უფრო თუ გავითვალისწინებთ, ისე დაუფიქრებლად წარმოთქმულ სიტყვებს როგორცაა: „თუ შენ ასე გგო-ნია“, ხოლო მე როგორც მგონია პატივცემული მოძღვარ-რო, ასევე შეგახსენებთ იმ ჟურნალისტის ნათქვამს, რომელმაც ერთ ნინადედებაში ჩაასოვა მთელი სიბ-რინე და განაცხადა: „თუ დედის ნაცრემლზე იმეო ამ-ოქმის, რატომ არ შიძლება დედის ცრემლები მი-რინად იმცნოსო?“ იქნებ მასაც ჰქონდა საკუთარი მო-საზრება ასეთ სენსიტიურ თემაზე მაშინ როცა წეროდა არ დაუთო ორიგინალი – ფოტო და არ გამოაქვეყნა. იცის სიტყვის ფასიც, ძალაც, ისიც რომ სიტყვა ღმერ-თია. სამწუხაროდ, თქვენზე უკეთესად იცის როგორ მი-ვიდეს ადამიანის სულის ხვედრებთან. ამიტომაც სრუ-ლიად არ არის არანაირი სტატუსი ასეთი მოღვაწეებ-ისთვის საჭირო, რომ ჭეშმარიტ მოძღვრებად მოისხე-ნიებოდნენ განა ბრძენი არ არის ის დასტაქარი. რომე-ლიც „სტრინკები“, „კეთილი ტყუილი“, საბოლოოდ განწირულ ადამიანს ისე დაამზივდნენ და დარწმუნებს იმაში, რომ მის წინაშე მართლა ღმერთი დგას ხილუ-ლი და არხილულიც. სწორედ ასეთ ადამიანებს სურათ ღვთის სასწაულების, მათ შორის მეც...

ასეა კი მკითხველმა გადაწყვიტოს როდის არის საჭირო კეთილი „ტყუილი“ და როდის არა. მე კი დაბნეული ვარ ყველაფრის გამო, მაგრამ, ჩემს სტრინიკებს მაინც წაიკითხავთ მის მერე – „როცა ცოცხალი აღარ ვიქნები“ – მხოლოდ ჩემე-ული ფანტაზიებით.

აკილოპი

მე, ჩემო ძალიან, ძალიან მონათრეველი და ძვირფასო მამიკა! როგორც შევედი და მოვახერხე თქვენი გულის, სულის ხვედრებში ჩაწვდომა ისე დავეწვინე თქვენთვის ეს უჩვეულო ნოველა ჩემი ტკივილების გასაზიარებლად და თქვენგან გამოგზავნილი მინონად-ქვეული ცრემლების მისაღებად. არ ვიცი შევედელი თუ არა, ამაზე თქვენ უნდა მიპასუხოთ. მანამდე ვიდრე ეს მძაფრი დრამატული ნაწარმოები დაიბეჭდებოდა ჩემი კოლეგა-ჟურნალისტების გარდა ვაუცხანი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ცნობილ მწერლებს და გასათქვამი იყო, რომ ყველას შეფასება ერთნაირი იყო. ერთნაირი ტკივილი. შენ კი ჩემო ლამიკო ვერაფერს გეტყვი გარდა ერთისა. მე შენ გელოდები და ნუ დაიგვიანებ, თუნდაც ჩემს ფანტაზიებში. ხოლო 14 აგვისტოსთვის ყველა მონაწიერი გამოხმაურებებიდან შევარჩიე ჩემი და შენი ფაფიკი მწერლის დავით ტურაშვილის ამონარიდები მის მიერ გამოგზავნილი წერილებიდან, რომლებიც ძალიან, ძალიან მეგობარს მართალია ის მე მწერს, როგორც დედას, მაგრამ პირველად გეუბნები მიიღე მოლოცვად, რომელსაც მე ძალიან ვაფასებდი და გეუბნებოდი, რომ არასოდეს მოვილოცავდი. მაგრამ დღეს მან მწერალმა დამარწმუნა კიდევ ერთხელ სულის უკვდავებაში და მიითხრა: „დიდი მადლობა, რომ მომწერეთ და გამოგზავნეთ თქვენი ტექსტი, რომელიც ამადღევე წავიდა და შთამბეჭდავია, თქვენ იმდენად ნიჭიერი ადამიანი ხართ, რომ მიუხედავად დიდი ტკივილებისა, მაინც უნდა წეროთ, რადგან წერა წამალივითაა ამ დროს. რამდენჯერ გითხარით, უკვე მომეწონა - მეთქი და არც ვიცი სხვა დედა, ვინც შვილის დაკარგვის შემდეგ ასე ურთიერთობს მასთან. რასაკვირველია, მანამდეც ვიცოდი, რომ ლიტერატურაზე დიდი ძალა არაფერს აქვს, მაგრამ თქვენი შემთხვევა ჩემთვის შემთხვევითი ისეთი დადასტურებაა, რომელსაც მანამდე არც კი ვიცნობდი. ამიტომაც ისევე ვაფასებოთ იმას რაც უკვე გითხარით, არავის ჰკითხოთ ამის თქვენი ტექსტების შესახებ, რადგან არაფერი გეტყვით სხვა აზრს, გარდა იმისა, რომ ძალიან მოსწონს რასაც თქვენ აკეთებთ, იმიტომ რომ ეს არის უნიკალური გზა თქვენი სიცოცხლის გაგრძელების და რაც მთავარია იმ სიცოცხლის დაბრუნების, რომელიც ყველაზე ძვირფასი იყო თქვენთვის. ეს მხოლოდ ლიტერატურას შეუძლია!.. (დავით ტურაშვილი).
დაიხ! ეს ნოველა ჩემი დაწერილია, მაგრამ მას სამი ავტორი ჰყავს, დავით ტურაშვილი, მამუკა ვაშაიძე, სპარტაკ ქობულაია ასეთი დიდი ძალა აქვს მწერლების და ჟურნალისტების შეგონებებს.
ჰოდა, ჩემო დათო! იმ უნიკალურ გზას ვაფასებდი, რომელიც თქვენ მიწიერი და რომელიც დამეხმარებოდა იმ სიცოცხლის დაბრუნებაში, რომელიც ყველაზე ძვირფასია ჩემთვის. ჩემი სიცოცხლის გაგრძელებაზე ვი, რა მოვასწონო...
რასაკვირველია, ყოველთვის ვიცოდი რომ სიტყვა ღმერთია, ხოლო ღმერთი კი სიყვარულია... რამაც საბოლოოდ დაეწინაურა, მაშინ როცა ჩემმა მეგობრებმა თავიანთი შემოქმედებით შესწავლეს ჩემი „მოქცევა“, „შემოხრებები“ და პირობა, რომელიც ლამიკის ცხვირით და დავით და არ ჩავიდანი გამოუსწორებელი დანაშაული, საშინელი ცოდვა და მაგრძობინის, რომ ყველა პირობაზე უფრო მაღალი და ძლიერია ღმერთის სიყვარული და ეს არის ქრისტეს გზა, გზა ჭეშმარიტებისაკენ. ეს აღაზიანებდა ხომ ჩემთვის ღმერთის სადარი რეალური პიროვნებები არიან. ხოლო ჩემი ლამიკო ხატად ქვეული ღმერთია ჩემთვის და როცა ვკითხვობ ჩემი მამუკა ვაშაიძის მარგალიტის მივიყვამდე ასხმულ, ასოქუქურთმებით მოქარულ სტრიქონებს არწილივით სულ თან დამდეგს მისი ძალიან ფრთხილი ნათქვამი: - ქართველმა დედამ არასდროს არ უნდა უღალატოს ქრისტიანულ მწიგნობარს. მე ვიცი, როდის და რაც მიხვდა, მაგრამ მკითხველიც კარგად მიხვდება, რასაც გულისხმობდა ავტორი. იმას რომ უფალი ყოველთვის სამედისწერო მომენტში, რომ გვაფრთხილებს: „ნუ გეშინიათ, მე თქვენთან ვარ!“ და რამდენი სიტყვა, რამდენი მხატვრული სევდიანი ნაწარმოებები, ნოველები მიუძღვნა ლამიკოს თემს, მშობლების თემს, სიმბრძნით, სიღრმით, ტაქტით და მოკრძალებით გადმოცემული. ჰოდა სადარი კი არა რატომ არ შეიძლება პირდაპირ ღმერთი ვუწოდო პირდაპირ მე, რადგან მე ის დავიანახე „რაც ღმერთს სწყურიათ“. ის გახლავთ ყველა ჩემი სტატიის ავტორიც, თანავტორიც და საკუთარი თავის და ყველას უფალიც...
შენ კი ჩემო ლამიკო, 3 წლის შემდეგ პირველად გილოცავ დაბადების დღეს... ეს შეძლეს შენმა და ჩემმა მეგობარმა ჩემოთ დასახლებულმა ადამიანებმა...
ასეთი დიდი ძალა აქვს ჟურნალისტების და მწერლების სიტყვას...
ა. დ.

ჩამოფრინდები, იასამანო...

თინათინ ვლავაძე.
საქართველოს რადიოს, მართლა რადიოს ხმა და სახე. ახლა რადიოს „წამყვანებიც“ ეკრანზე ჩანან. ის არ ჩანდა. მაინც ცნობდნენ. უყვარდათ. ეთაყვანებოდნენ. ხმას თუ გაიგონებდნენ, უმაღვე ეკითხებოდნენ, „თქვენ ხომ თინათინ ელბაქიძე ხართ?“ მისი ხმის ხავერდი ათწლეულების განმავლობაში იპყრობდა ადამიანთა გულელებს. იპყრობდა და ათბობდა. ათბობდა, რადგან გულის სიღრმიდან მოდიოდა და მსმენელის სულში შედიოდა.
ის არ ყოფილა მხოლოდ დიქტონი.
თავისი ქვეყნის ღირსეული მოქალაქე და გულმხურვალე პატრიოტი იყო. სიტყვით ანუ საქმით. საქმით ანუ სიტყვით. „ერთი მსახიობის პუბლიცისტური თეატრი“, უნივერსიტეტის ჭერქვეშ რომ დააფუძნა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ მძლავრ ტალღას ქმნიდა და მის აზვინთებას ეხიდებოდა. ჭკვიანი, გონიერი, განათლებული ქალბატონი იშვიათი გემოვნებითა და ალღოთი არჩევდა ქართველ მწერალ-პუბლიცისტთა საუკეთესო ქმნილებებს, რომელთაც ასევე იშვიათი ოსტატობით კითხულობდა.
ვახუშტის პუბლიცისტიკა მისი სტილია იყო, თუმცა, პოეტური სულის ძალადგონს პოეზიაც უფროდ უყვარდა.
და აქაც ზუსტად იცოდა, რა უნდა წაეკითხა. ალბათ, მასავით ვერასოდეს ვერავინ წაიკითხავს ანას ერთ შედეგს. „ჩამოფრინდები შენს ლურჯ რტოებზე, ჩამოფრინდები, იასამანო“... ამ ლექსს ისე წარმოთქვამდა, მისივე დაწერილი გეგონებოდა. კიდევ ერთხელ უნდა ვახსენოთ სიტყვა „იშვიათი“: მართლაც იშვიათი თავმდაბლობა რომ არა, თინათინ ელბაქიძის „ოქრო“ აუცილებლად იჩხრიალებდა. მაგრამ მთავარი ეს ხომ არ არის?! მთავარი ისაა, რომ ამ ღირსეული ქალბატონის კეთილშობილ სულს, ამიერიდან და სამუდამოდ, იასამნის ლურჯ რტოებზე დავიგულებთ.
იოსებ ჭუგუჯიძე



ლაპილის ისტორიულ მამულში ქართული ფესტივალი დასრულდა

საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, ლევილის ისტორიულ მამულში ქართული ხელოვნებისა და კულტურისადმი მიძღვნილი ფესტივალის მესამე კვირეული დასრულდა, - ამის შესახებ ინფორმაციას კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ავრცელებს. სამინისტროს გადამწყვეტილებით, 3 აგვისტოს ონის მუნიციპალიტეტის კურორტ შოშიში მომხდარი სტიქიური უბედურების გამო, ლევილის ისტორიულ მამულში ქართული ხელოვნებისა და კულტურისადმი მიძღვნილ ფესტივალზე 12 და 13 აგვისტოს, ისევე როგორც, 5 და 6 აგვისტოს დაგეგმილი საზეიმო კონცერტები, მათ შორის, ქართული ცეკვის წარმოდგენის ნაწილი, სრულად გაუქმდა.
13 აგვისტოს საქართველოს კამერულმა გუნდმა სვიმონ ჯანგულაშვილის ხელმძღვანელობით საეკლესიო საგალობლებით პატივი მიავთ დაღუპულთა ხსოვნას, ასევე

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივითა და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, 29 ივლისიდან 20 აგვისტოს ჩათვლით, ყოველ შაბათ-კვირას, ლევილის ისტორიულ მამულში ქართული ხელოვნებისა და კულტურისადმი მიძღვნილი ფესტივალი იმართება, რომელსაც ყველა მსურველი უფასოდ ესწრება. XX საუკუნის 20-იანი წლების შემდეგ ლევილის მამული პირველად მასპინძლობდა ამ მსგავსი კულტურულ ღონისძიებათა ციკლს. თუმცა, ფესტივალის პროგრამა არაერთხელ შეიცვალა 3 აგვისტოს ონის მუნიციპალიტეტის კურორტ შოშიში დატრიალებული ტრაგედიის გამო.
საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ საფრანგეთში შექმნილი ლევილის მამული 2016 წელს, 25-წლიანი მოლაპარაკებების შემდეგ, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ გელა დუმბაძისა და იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის, ძალიანსხვის შედეგად საქართველოს დაუბრუნდა. 2021 წლის ზაფხულში პროექტი ისახელწოდებით „პირველი რესპუბლიკის ისტორიული და კულტურული ქართულ-ფრანგული მემორიალური ცენტრის, ლევილის ქართული აკადემიის შექმნა“ გადაეცა ახალშექმნილ უწყებას - საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს.
დღემდე აქტიურად გრძელდება ლევილის მამულის საზოგადოებრივი სამუშაოები და ეტაპობრივად მიმდინარეობს მამულის სხვადასხვა ნაწილის განახლება.
2026 წლის სექტემბრამდე მამულის ტერიტორიაზე მოეწყობა: ლევილის ქართული აკადემია, სამუზეუმო და საარქივო სივრცე, მიმლოთოთევა, საკონფერენციო დარბაზი, მედიათევა, ქართული კუთხე (ქართული ოდა, ვენახი, ქვევრი და ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის აუცილებელი კომპონენტები)“...



განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306⁶ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი პოლიტიკა“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს ნიკოლოზ აფციაურის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:
1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ნიკოლოზ აფციაური (პ/ნ 16001001674), ქ. გორი, თარხნიშვილის ქ. 17, სართული 4, ბინა 47

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. გორი, თარხნიშვილის ქ. 17, სართული 4, ბინა 47 (საკადასტრო კოდი: 66.05.05.041.01.047 <https://nprweb.reestri.gov.ge/> - /search<https://nprweb.reestri.gov.ge/> - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 3000 ლარი.
3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2023 წლის 15 აპრილი, 14:00 საათი.

4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2023 წლის 30 აპრილი, 14:00 საათი.
5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HWP91826723; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 918267

6. მოვალე: ნიკოლოზ აფციაური (პ/ნ 16001001674), ქ. გორი, თარხნიშვილის ქ. 17, სართ. 4, ბინა 47.

7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი პოლიტიკა“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი - ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შექენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი პოლიტიკა“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი E17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HWP91826723; ლოტის ნომერი: 918267).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 30 აპრილის 12:00 საათამდე.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306⁶ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი პოლიტიკა“ კრედიტორ ს/ს „ლაზიკა კაპიტალის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ალბერტ ვარტერესიანის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:
1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ალბერტ ვარტერესიანი (პ/ნ 39001006896), სენაკი, ჭავჭავაძის 182

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
სენაკი, ი. ჭავჭავაძის 182 (საკადასტრო კოდი: 44.01.36.480<https://nprweb.reestri.gov.ge/> - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 59337.66 ლარი.
3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2023 წლის 15 აპრილი, 14:00 საათი.

4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2023 წლის 30 აპრილი, 14:00 საათი.
5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HWP91826823; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 918268

6. მოვალე: ლიუზია პეტროსიანი (პ/ნ 61004030590), სენაკი, ი. ჭავჭავაძის 182

7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი პოლიტიკა“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი - ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შექენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი პოლიტიკა“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HWP91826823; ლოტის ნომერი: 918268).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 30 აპრილის 12:00 საათამდე.

ნატოს განცხადება უკრაინისთვის ქრახის ტოლფასია

ნატოს გენერალური მდივნის თანხმების დირექტორის, სტიან იენსენის განცხადებით, უკრაინა შეიძლება გახდეს ალიანსის წევრი რუსეთისთვის ტერიტორიის დათმობის სანაცვლოდ.

ამასთან, ალიანსის გენერალურმა მდივანმა, იენს სტოლტენბერგმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უკრაინამ უნდა გადაწყვიტოს, როდის და რა პირობებში სურს რუსეთთან მოლაპარაკება.



„დიდი ოცნების“ სამიზნე უკრაინა არ იქნება მიწვეული



ლონდონში ვებგვერდზე მოწვეული ქვეყნების ჩამონათვალი უკრაინა არაა მითითებული. „დიდი ოცნების“ წევრი ქვეყნების გარდა სამიტზე ასევე მიწვეულნი არიან მანგლაღუმი, ეგვიპტე, მაროკო, ნიგერია, ესპანეთი, ნიდერლანდები, აზამთა გაერთიანებული საამიროები, ომანი და სინგაპური.

მანამდე ინდოეთის წარმომადგენელმა კითხვაზე, მიიღებს თუ არა ინდოეთი ზომებს გლობალური სამხრეთის ქვეყნების მონაწილეობით ანტირუსული კოალიციის ჩამოყალიბებაში, განაცხადა, რომ „დიდი ოცნების“ ეკონომიკური ფორუმი, რუსეთის პრეზიდენტის სპიკერი დიმიტრი პესკოვი აცხადებს, რომ ვლადიმერ პუტინს სამიტში მონაწილეობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

ჩინეთმა რუსეთის აქტივები გაყინა

ჩინეთმა გაყინა რუსეთის 350 მილიონი ევროს ოდენობის სანქციონებული აქტივები, - ამის შესახებ უკრაინაში ჩეხეთის ელჩმა, რადეკ მატულამ განაცხადა. ჩეხეთში რუსეთის მოქალაქეების გაყინული აქტივების ჯამური რაოდენობა, რომლებიც სანქციების ქვეშაა, 14 მილიარდ გრივანზე მეტია (347,36 მილიონი ევრო), - განაცხადა მატულამ უკრაინის აქტივების მოვლელისა და მართვის სააგენტოს ხელმძღვანელთან, ოლენა დუმასთან შეხვედრისას. ჩეხეთის ელჩმა აღნიშნა, რომ ჩეხეთის სამართალდამცავი ორგანოები აქტიურად აკვირდებიან ინფორმაციას რუსეთის მოქალაქეების შესახებ, რომლებიც სანქციებს ექვემდებარებიან და დაარწმუნა უკრაინა პრადის მხარდაჭერაში კვივის ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებაში.

საპარტიო საკომუნალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაგზავნილი არსებული სახელმწიფო საშენობო დაწესებულებების - საპარტიო საპროგრამო გზების დეპარტამენტის განცხადება

ქვეყნის „აუსილვალი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საშენობო დაწესებულებების განვითარების განცხადება“ საპარტიო საკომუნალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაგზავნილი არსებული სახელმწიფო საშენობო დაწესებულებების - საპარტიო საპროგრამო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (ახურბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ვაზიანი-საგარეჯოს (კმ4+040-კმ27+840) საავტომობილო გზის მონაკვეთის (ლოტი 1) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის შემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქეების: დომენტი სალთხუციშვილის (პ/ნ 12001061040), ლია სალთხუციშვილის (პ/ნ 12001073384), ნინო სალთხუციშვილის (პ/ნ 40001040293), სათუნა სალთხუციშვილის (პ/ნ 12001036546) (შემდგომში - თანამესაკუთრეები/მოქალაქეები) თანასაკუთრებაში არსებული, გარდახანი-ნიციპალიტეტის, სოფელ მარტყოფში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 10 800 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთის (ს/კ 81.10.34.511) ნაწილი - 4 165 კვ. მეტრი (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრეებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოხეიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული თანასაკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება. პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსახდურული დირექტორის სანაცვლოდ. თანამესაკუთრეები ინფორმირებული იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

შემოადინებული გარემოების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაგზავნილი არსებული სახელმწიფო საექსპროპრიაციო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 07 აპრილის №1-1/305 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.



ჯუმბერ ლეჟავას მსოფლიო მოგზაურობა - 30

ჯუმბერ ლეჟავა (1939-2014), ქართველი მეცნიერი, ინჟინერ-ელექტრიკოსი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი, გაეროს მშვიდობის ელჩი, იუნესკოს დესპანი, ვინისის 14-გზის რეკონსტრუქციის მსოფლიოში აღმშენებელი, როგორც ადამიანი ლეგენდა, ქართველი ოდისეუსი, ოპტიმისტი კავკასიელი, მოგზაურობის მეფე, დიდგორის გმირთა სადარბაზოში მშენებელი, რომელმაც 54 წლის ასაკში, 1993 წლის 13 აგვისტოს (დღემდღომის მემორიალში) ქალაქ რუსთაში დაიწყო და აქვე 2002 წლის 3 ნოემბერს ტრეკში დაასრულა 9-წლიანი (3333-დღიანი) უწყვეტი მსოფლიო მოგზაურობა, რომლის ანალოგი კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს!

მარტოდმარტომ ველოსიპედით რუსთაველის „ვეფხისტყაოსნით“ და დევიზით „ვინ მოყვანდა არ ეძებს იგი თავის მტერს“ ექსტრემალურ პირობებში შემოიარა მთელი დედამიწა, ყველა კონტინენტი, ყველა ქვეყანა (240 ქვეყანა და ტერიტორია), ზღვები და ოკეანეები

კი გემებითა და თვითმფრინავებით გადასენა. სულ განვლო 500 ათასი კილომეტრი (მანძილი, რომელიც დედამიწის ეკვატორის გარშემოწერილობას 12,5-ჯერ აღემატება). ამ მოგზაურობის გაცნობით დაკვირვებული მეთხველი იგებს - სად გადის ადამიანის შესაძლებლობის ზღვარი?!

ერთი სიტყვით, ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომრებში მკითხველებს ვთავაზობთ ილუსტრირებულ ნარკვევს, სადაც ფართოდ წარმოჩინდება ამ მოგზაურობის მონაპოვრები და შედეგები, ჯუმბერ ლეჟავას და თანამოაზრეთა მიერ შემუშავებული პროგრამა, რომელსაც ფართო საზოგადოება ნაკლებად იცნობს. ანადა თავისი მასშტაბურობის და ჰუმანურობის გამო იგი ჩვენი თანამემამულეებისა თუ უცხოელებისთვის უთუოდ საინტერესო იქნება...

სურათზე: ჯუმბერ ლეჟავა თოვლიან-ყინულიან მხარეში. კადრი ფილმიდან „ველოსიპედით მთვარემდე“ (რეჟისორი გიორგი ხარემაია).

ორიოღა სიჭყვიტ

ფაზავარი
არაგვის ჩემპიონთა თასი. ფინალი. ალ-ნასრი - ალ-ჰილალი 2:1 (დამატებით დროში, ძირითადი დრო - 1:1). გამარჯვებულთაგან დუბლი 6 გატანილი გოლით ტურნირის საუკეთესო ბომბარდირმა კრიშტიანო რონალდომ შეასრულა. ეს 38 წლის პორტუგალიელის პირველი არაბული ჯილდოა, სულ კი 5 ქვეყანაში თამაშის განმავლობაში 33 ტიტული დაუგროვდა, მათ შორის 30 - საკლუბო დონეზე.

ქრივი
ფლორიდა (აშშ). სუპერ-ნახევარ-მსუბუქი წონის მესამე რეიტინგის მქონე ოთარ ერანოსიანმა ტექნიკური ნოკაუტით მე-8 რაუნდში დაამარცხა მსოფლიოს ჩემპიონის ქაშისის ყოფილი ვენესუელელი მფლობელი როხერ გუტიერესი და ტიტულის მადიებელი ოფიციალურად გახდა.

იგი ქართული კრივის ისტორიაში პირველია, ვინც ოთხივე უმაღლესი ვერსიით ასე მალა აფრინდა.



პარასპორტი
მორბი ხიზანოვი ევროპის პარაჩემპიონატის გამარჯვებულია, ხოლო მეორე ადგილზე გოგა ხახალაშვილი გავიდა.
 გარდა ამისა, ლია ჩაჩიბაია (47კგ) და ანა ჯაფარიძე (52 კგ) მრინჯაოს პრიზიორები გახდნენ.
 ჩვენთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რომ ქართველი ქალი პარაათლეტები საერთაშორისო დონეზე წარმატებით განაგრძობენ ასპარეზობას.

გიორგი ნიკოლაძე და სანდრო მეგრელიშვილი ევროპის პარა ჩემპიონატზე მრინჯაოს მედალოსნები გახდნენ. სულ პარა ტაევექონდოს ნაკრების წევრებმა 6 სინჯის მედლის მოპოვება შეძლეს: 1 ოქრო, 1 ვერცხლი და 4 მრინჯაო.

საერთო ჩათვლაში ჩვენი ნაკრები 13 მედლით (3 ოქრო, 2 ვერცხლი, 8 მრინჯაო) საპატიო მეხუთე ადგილზე და უსწრებს ისეთ ტრადიციულ ქვეყნებს, როგორც დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი და ესპანეთი.

როგორები
როკიშვილი (დიდი ბრიტანეთი). ITF-ის 25-ათასიანი ტურნირი. წყვილთა თანრიგი. **ფინალი.** მარიამ მოლქეაძე, ლილი მიაზაი (ინგლისი) - ტალია ვიზსონი, პეტრა ჰულე (ავსტრალია) 7:5, 6:3. მხრის ოპერაციის გამო 9-თვიანი პაუზის შემდეგ კორტზე დაბრუნებულმა 25 წლის ერთ დროს მსოფლიოს 151-ე ქართველმა ჩოგანმა კარიერაში მე-18 ტიტული მოიგო, აქედან მე-12 - წყვილებში.

პრატა (ჩეხეთი). ღია პირველობა (საპრიზო ფონდი - 260 ათასი დოლარი). წყვილთა თანრიგი. **ფინალი** ოქსანა კალაშნიკოვა, ნაო ჰიბინო (იაპონია) - ქუინ გლისონი (აშშ), ელიჟენ ლეჩემა (საფრანგეთი) 6:7 (7:9), 7:5, 10:3. 32 წლის კალაშნიკოვა WTA-ს წყვილთა რეიტინგში მსოფლიოს 44-ე ნომერი გახდა სულ კი აქტივში 6 და ჩელენჯერის 3 ტურნირი აქვს მოგებული, ხოლო ITF-ის ეგიდით 30 ტიტული მოუგროვდა.

თაოგათა გადაახილი

მუნდიალის პრიზმაში

საუკუნოვანი ბიოგრაფიის ქართული კალათბურთის მომავალი სიმბოლო ხელშია, რის დასტურადღაც ლეონი ცხიშვილმა მისი გაწვრთნილი 16-წლამდელთა ნაკრების წარმატება გამოადგემა.

უფროს ჯგუფთან უახლოესმა რეზერვმა რუმინეთში გამართული ევროპის ჩემპიონატის „მ“ დივიზიონის მრინჯაოს მატჩი მძაფრ ბრძოლაში მასპინძლებს 70:68 მოუგო და როგორც ხორვატთა, ისე ბულგარეთთა მსგავსად ელიტაში აღმდედა.

აღსანიშნავია, რომ ჩვენმა გუნდმა კარპატისპირელებთან რევანში აიღო ჯგუფურ რაუნდში დამარცხებისთვის. **ყველაზე შედეგიანები:** მათე ხატიაშვილი - 23 ქულა, 3-3 მოხსნა და პასი, ავთანდილ მახტაძე - 18 ქულა და 15 მოხსნა, გიორგი ჭიკაიძე - 11 ქულა. დაეძენთ, რომ მთლიანად ტურნირში მიტემა 5 შეხვედრა მოიგეს და მხოლოდ 2 წააგეს. პარალელურად ასევე გაგვახარა ქვეყნის ეროვნულმა ნაკრებმა, რომელიც ისტორიულ სადებიუტო მსოფლიოს ჩემპიონატზე იაპონიაში გამგზავრებამდე თბილისის თასის გამარჯვებული გახდა, რომელშიც მხოლოდ დამდეგი ფორუმის მონაწილენი თამაშობდნენ.

ნახევარფინალი
 საქართველო - იორდანია 86:69
საქართველო: მამუკელაშვილი - 19, შენგელია - 16, ბითაძე - 13, სანაძე - 9, ანდრონიკაშვილი - 9, შერმადინი - 6, მაკფადანი - 6, ცინცაძე - 2, ტურქილაძე - 2, ბეჭური - 2, ლიკლივაძე - 2 ქულა.

ფინალი
 საქართველო - მონტენეგრო 84:79
საქართველო: ბითაძე - 21, მაკფადანი - 19, შენგელია - 14, სანაძე - 10, მამუკელაშვილი - 10, შერმადინი - 7, ანდრონიკაშვილი - 3 ქულა.
 პირველ მეტოქესთან იოლი გასივრება არავის გაკვირვებია, აი, მალკანელებთან შარმანდელ თბილისურ ევრობასკეტზე წაგებისთვის აღებული რევანში კი საკმაოდ

ძვირად ფასობს. დიას, თუ ჩვენ შენგელიათი გაძლიერდით, სტუმრებს ნებას ვარსკვლავი ვუჩუქი დაუბრუნდათ, მაგრამ იგი მალევე დაიტვირთა პერსონალური შენიშვნებით და დროის საკმაოდ სოლიდური ნაწილი სათადარიგოთა სკამზე გაატარა.

რაც შეეხება წინასამუნდიალო ტაქტიკურ მონახაზს, თითქმის ბოლომდე გამოკვეთილი სასტარტო ხუთეულის კანდიდატთა ვინაობა, რაც ავტომატურად საუკეთესო შედეგსაც გულისხმობს და ილიას ზუროსის გადასაწყვეტია, ვის დააწყებინებს მძობლას კონკრეტულ მატჩში გამომამუშავლისა (ცინცაძე - ანდრონიკაშვილი) და მეოთხე-მეხუთე ნომრების (მამუკელაშვილი - ბითაძე - შერმადინი) პოზიციებზე. ასე რომ, მაკფადანს, სანაძესა და შენგელიას, ერთი შეხედვით, კონკურენტები არ ჰყავთ, მაგრამ, მოგეხსენებათ, გამოირიცხული არათქვამს.

მუნდიალში, სრულფასოვან შემსრულებლთა დეფიციტის პირობებში დამაფიქრებელია ბურჯანაძის არყოფნა, რომელსაც ბურგს მდიდარი გამოცდილება უმაგრებს, მაგრამ ვიმედოვნებთ, ვინც გვყავს, ისინი ღირსეულად ჩააბარებენ აზიურ გამოცდას.

ასეთი ოპტიმიზმის საფუძველი მეორე დღეს გამართულმა დახურულმა სპარინგმა გაგვიმყარა, როცა მწვრთნელებმა ირანელთა წინააღმდეგ შენგელია, ბითაძე და მამუკელაშვილი დაასვენეს, მაგრამ ლიდერთა გარეშე მაინც მოვიგეთ - 84:72.

მოკლედ, დღეს ამომავალი მზის ქვეყანაში ამაღლებული განწყობით მივმგზავრებით, 22-ში ოკინავაზე ავსტრალიასთან ბოლო ტესტს ჩავაბარებთ და 26-ში იქვე კამო ვერდესთან სასტარტო ბრძოლა.



რაგბი ჩენი თაბაში

რეკორდებმა დაამუშავა

მართალია, რუმინელებთან დადებითი ბალანსი გვაქვს, მაგრამ მუხები ბორჯალოსანთათვის ყოველთვის უხერხული მეტოქე იყვნენ და ამიტომ საფრანგეთის მოახლოებული მსოფლიო თასის წინ მათთან დამარჯვებული რეკორდების მნიშვნელობა შეუფასებელია. ეს ეხება როგორც ანგარიშში სხვაობას, ისე აპაპი მამუკელაშვილის მიერ სანაკრებო კარიერაში დადგენილ 28-ე ლელოს, რითაც ლეგენდარული მამუკა გორგოძის ძველი მიღწევა დაამხო.

კიდევ ერთი აღსანიშნავი ფაქტი: ლეონ მამუკელაშვილის გუნდის კაპიტანმა **მერამ შარიქაძემ** მორიგ ჯერზე შემართა ტრადიციული ანთიმოზ ივერიელის სახელობის თასი!

საქართველო - რუმინეთი 56:6
საქართველო (15-9): მოდებაძე, ტაბუცაძე, თაფლაძე, შარიქაძე (ვევსელაძე), ლაში (ხმალაძე), მატკავა, აფრასიძე (ლობუნიძე); (1-8): ნარიაშვილი (ამულაძე), ჭყონიძე (მამუკაშვილი), ჯაფარიძე (პაპიძე), ჭეიშვილი, ჩაჩანიძე (ჯაიანი), გიორგაძე (ცუცქერიძე), გაჩეჩილაძე, ივანიშვილი.

8 ლელი: აფრასიძე, შარიქაძე, ჭყონიძე, გაჩეჩილაძე, ტაბუცაძე, მატკავა, მამუკაშვილი, ლობუნიძე. **5 გარდასახვა:** მატკავა. **2 საჭარბო:** მატკავა, აფრასიძე.

სინგონი: ლაში.
მსაპი: უეინ ბარნსი (ინგლისი).
 მართალია, დაცვაში შესანიშნავად ვითამაშეთ, მაგრამ დამაფიქრებლად მოგვეჩვენა ჩვენი მთავარ კოზირ შერკინებაში გაჩენილი პრობლემები, თუმცა შედეგი მაინც მრავალისმეტყველია და ამიტომ გუნდის თავდასაც მოვუსმინოთ:

ლეონ მამუკაშვილი - მთავარი იყო აქამდე გაწეულ შრომას როგორ გადავიტანდით მოედანზე. კარგად ვითამაშეთ და კმაყოფილი ვარ. მიჭებს დაგვაღაღა, რომ თავდაჯერებულობა, კონცენტრაცია ერთ ეტაპზე კი არ დაეკარგათ და ეს მოახერხეს.
მერამ შარიქაძე (გუნდის კაპიტანი) - ვუსამძიმრებ შოვში დაღუპულთა ოჯახებს. ეს მთელი საქართველოს ტრაგედიაა. რაც

მძიმე წუთებში შეგვეძლო, ამ თამაშის მოგება იყო, რათა ასეთ მძიმე პერიოდში მცირედი სიხარული მაინც მიგვენიჭებინა ხალხისათვის.

მამოქააბი
აშსტრალია: ტრავმების გამო საფრანგეთში ვერ ითამაშებენ ალალატოა, იკიტაუ და ჰუპერი, ხოლო კუპერი, სამე, ჰოჯი და რაიტი გუნდში მთავარ მწვრთნელ ედი ჯონსის არჩევანის გამო ვერ მოხვდნენ. ვოლაბებს 3 დებიუტანტი ეყოლებათ: შუპი, ფაინს - ლელევიასა და იორგენსენი, ახალი კაპიტნის ამპლუაში კი ლა რომელის მესამეხაზელ შელტონს ვიხილავთ.



შულსი: ურჩხულებმა პრინციპული ტესტში გამართეს ინგლისში და 17:19 დამარცხდნენ. აღსანიშნავია, რომ ქართველმა მსაჯმა **ნიკა ამაშუკელმა** მეტოქეები 5 ყვირთული და 1 წითელი ბარათით დასაჯა.
შორტლანდია: როგორც მოგეხსენებათ, 19 აგვისტოს 19 საათზე მიხელი მესხზე აშშ-ს მივიღებთ, თბილისისკენ მომავალმა ამერიკელებმა კი გზად პირენეებზე შეიარეს და მასპინძლებთან 20:46 შერცხვნენ.



ნუგზარ ჩირაშვილი

მოულოდნელად, 67 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, ახალგაზრდობის ღირსეული აღმზრდელი და ღვაწლმოსილი მეცნიერი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრი, ეროვნული პრემიის ლაურეატი, პროფესორი ნუგზარ ჩირაშვილი.

ერთობ სასახელო ცხოვრების გზა განვლო პროფესორმა ნუგზარ ჩირაშვილმა. დაუღალავი შრომისა და არჩეული პროფესიის უდიდესი ერთგულების ფასად მიაღწია თვალსაჩინო სამეცნიერო და საზოგადოებრივ აღიარებას.

ნუგზარ ჩირაშვილი დაიბადა 1956 წლის 28 იანვარს ქიათურის რ-ს სოფელ ცხრუკვეთში. 1973 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის მ-ე საშუალო სკოლა. 1975 წელს სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1980 წელს შავი ლითონების მეტალურგიის სპეციალობით. იმავე წელს სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1986 წელს წარმატებით დაიცვა საკანდი-

დატო, ხოლო 2003 წელს – სადოქტორო დისერტაციები.

ბატონმა ნუგზარმა მთელი თავისი ცხოვრება, სამეცნიერო თუ პედაგოგიური მოღვაწეობა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს დაუკავშირა. ნუგზარ ჩირაშვილის სამეცნიერო ინტერესები დაკავშირებული იყო ქიათურის მანგანუმშემცველი ლარიბი მასალებიდან სპეციალური შედგენილობის კონცენტრატების მიღებისა და მათგან ფეროშენადნობების გამოდნობის ტექნოლოგიების დამუშავებასთან და სრულყოფასთან. ნუგზარ ჩირაშვილის პრაქტიკული საქმიანობაც და თერმოდინამიკური კვლევებიც მიმართული იყო ქიათურის საბადოს რაციონალური გამოყენების მიზნით ექსპლუატაციის გახანგრძლივებისა და გარემოს ეკოლოგიური გაჯანსაღების უზრუნველსაყოფად.

პროფესორი ნუგზარ ჩირაშვილი 130-ზე მეტი სამეცნიერო შრომისა და 10 გამოგონების ავტორია. მის მიერ შექმნილ სახელმძღვანელოებზე აღიზარდა ინჟინერიის დარგის სპეციალისტთა მრავალი თაობა. ბატონი ნუგზარი აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებში და კონგრესებში. მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია მრავალი გამოკვლევა და დაცულია საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები.

მეცნიერების განვითარებისა და ახალგაზრდა სპეციალისტთა აღზრდის საქმეში განუვლმა ღვაწლმა პროფესორ ნუგზარ ჩირაშვილს დამსახურებული ავტორიტეტი და აღიარება მოუპოვა. იგი არჩეული იყო საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრად.

2012 წელს ნ. ჩირაშვილს მიენიჭა ეროვნული პრემიის ლაურეატის წოდება და დაჯილდოვდა ვერცხლის მედლით.

პროფესორი ნუგზარ ჩირაშვილი ეროვნული ტექნიკური ინტელიგენციის ქმშარითად ღირსეული წარმომადგენელია.

გამორჩენილი მეცნიერის, ახალგაზრდობის აღმზრდელის ნუგზარ ჩირაშვილის სახელი დიდხანს იცოცხლებს მათ მოგონებებში, ვისთანაც უმუშავია, ვინც აღუზრდია და ცხოვრების ნათელ გზაზე დაუყენებია ამ ღირსეულ, კაცთმოყვარე და უაღრესად კეთილშობილ პიროვნებას.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ბატონი ნუგზარის უკვდავი სული, ვალმობილი ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ტკივილით თანაუგრძობს ბატონი ნუგზარის ოჯახს, ახლობლებსა და მეგობრებს. სამარადისო სსონა ღირსეულ მეცნიერს, პედაგოგს, კოლეგას.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქართული მაღნახის გაგვირგობის ფუქვეღებელი

ტექნიკურმა უნივერსიტეტმა, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტმა, ფეროშენადნობების მეტალურგიის დარგმა და მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა. მოულოდნელად, 67 წლის ასაკში გარდაიცვალა ქიათურის ლარიბი მადნების გამდიდრების მეცნიერების ფუძემდებელი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის და ევროპის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების აკადემიის წევრი, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, პროფესორი

ნუგზარ ჩირაშვილი

პროფესორმა ნუგზარ ჩირაშვილმა ქიმიური და მეტალურგიული დარგის, განათლებისა და მეცნიერების სფეროს განვითარებაში უზარმაზარი

შრომა ჩადო, რასაც მიეძღვნა მისი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, საინტერესო სამეცნიერო კვლევები.

ბატონი ნუგზარი იყო ახალგაზრდა სპეციალისტების საუკეთესო აღმზრდელი, კოლეგა და მეგობარი. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის გადაიარაღებაში და დაბალფოსფორიანი სილიკომანგანუმის წიღების გადამამუშავებასა და ახალი დაბალფოსფორიანი სილიკომანგანუმის წიღების და შენადნობების წარმოებაში.

ბატონი ნუგზარი იყო ფეროშენადნობების წარმოების ტექნოლოგიის უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი, გულისხმიერი კოლეგა, მეგობარი, საუკეთესო მეუღლე, მამა და ბაბუა, რაც უკვდავყოფს ბატონ ნუგზარ ჩირაშვილის სახელს.

ქიმიური და მეტალურგიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები, მეცნიერები:

- გურამ ძაბაძე, ბენო ძაბაძე, ომარ მიძაძე, მაია მგვილდაძე, ირაკლი გუგუშვილი, რამაზ ხურცი, რამაზ ძაბაძე, ნაზი კუციანი, მაია ცინცაძე, თამარ ცინცაძე, ბაკურ გულუა, თამარ ლოლაძე, ჯემალ შენგელია, გოჩა ნანიტაშვილი, ზურაბ საბაშვილი, დავით ნოზაძე, ალექსანდრე გორდუნიანი, დიმიტრი ერისთავი, როზა ხუციშვილი, ნინო მუსელიანი, მარინა კაპანაძე, ნინო ძაბაძე, თამარ გვაზავა, მამუკა მაისურაძე, მაღონა ბანძავა, ანა მებრევილი, მარინა ბეძაძე.

ლონგი ფარცვანია - (1943 - 2023) სამუბლოს ერთგული ჯარისკაცი



ერთგული ჯარისკაცი... ამ სიტყვებით თითქოს ყველაფერი ნათქვამი, მაგრამ კიდევ უფრო მეტია სათქმელი, მოდი ვთქვათ ახლა, რადგან ამის შესაძლებლობა ყოველთვის არ გვეძლევა. ისე უბრალოდ, როგორც ამას იხსენებდა თვით მამა-ზეციერი. ადამიანის ბედი უცნაურია, ამიტომაც მის შესახებ ყველაფერი, ღმერთის გარდა არავინ იცის...

ვინ იფიქრებდა ენგურის ნაპირებზე გაზრდილი, მურიცხივით სვიან ბიჭი, დრო დადგებოდა და ნანატრი დამოუკიდებელი საქართველოს სულის ჩამდგმელისა და პირველი პრეზიდენტის ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდიას დაცვის პოლკის მეთაური გახდებოდა... კიდევ მეტი, თავისუფალ დროს, ჰქონდა კი ასეთი წუთები ქვეყნის პრეზიდენტს, ის ლონგი ფარცვანიასთან საუბარს არჩევდა...რა შეეძრება ამ ოქროს წუთებს, იგი ერთ სიცოცხლედ ღირს. ძნელია კაცმა ეს წარმოიდგინოს, თუმცა ჩვენ სომ ოსტატები ვართ წარმოდგენების, სხვა მეტი რა დაგვრჩენია... არა, ყოველივე ეს თვით უნდა განიცადო და იგრძნო. ამგვარ განცდებს უფალი ყველას არ ანიჭებს, იგი მხოლოდ რჩეულთა სვედრია. დიას, არსებობს ბედნიერების მრავალგვარი გაგება, მაგრამ ფაქტი ჯიუტია, როგორც ინგლისელები იტყვიან, მას სხვას ვერ შეადრ... წლები მიჰქრია ნაბდით დაჭედილი ბედაურებით, მათ თან მიჰყვება და მიჰქვება ჩვენი სულისა და გულის ნაწილები, ჩვენი სისხლი და სორცი, საქართველოს ეროვნული სიამაყე – ღვიძლი შვილები.

ისინი უკვდავების შარავანდედით იმოსებიან და მარადისობაში იმკვიდრებენ ადგილს... და ვაი, რომ წუთისოფელი, დიდად სამწუნაროდ, ერთობ მუხთალიცა... ჩვენი სამშობლოს მტრებმა ვერ იტყეს საქართველოს მოსახლეობის მიერ თითქმის ერთხმად არჩეული ლეთიკურთხეული პრეზიდენტი, სამხედრო ხუნტის სამეულმა იგი განდევნა სამშობლოდან და მას თან მიაყოლა ქვეყნის ბევრი ღირსეული შვილი, მათ შორის ჩვენი ლონგიც. იგი ნიდერლანდებში აღმოჩნდა ოჯახითურთ. დიდი მადლობა ამ ქვეყანას, რომლის „მასპინძლობითაც“ ჩვენი ლონგი კმაყოფილი იყო, თანაც – საქართველოში წელიწადში ერთხელ გარკვეული დროით „სტუმრობის“ უფლებით.

აქვე სიამაყით აღვნიშნავთ, რომ ვინც ერთხელ მაინც ყოფილა ლონგი ფარცვანიას ოჯახში, ყველა დაგვერწმუნება, ჩვენი ქვეყნიდან ადრე წასული პიროვნებების სახეები პანთეონად ქცეული კედლიდან, ბატონი ზვიად გამსახურდიას თავაკცობით, სიამაყით იცქირებიან. ამბობენ, ნიდერლანდებშიც ფარცვანიების ოჯახში იგივე სურათს წააწყდებითო... და ეს ყველაფერი იმის გამოც ხდებოდა, რომ ლონგის დიდ კაცობას ამშვენებდა მისი ლამაზი ოჯახი. ქალბატონი მერი, ქალიშვილი ივა, სიმე და ერთიმეორეზე უკეთესი შვილიშვილები. თავად ლონგი კი ყოველთვის ფიქრობდა სხვისთვის რა სიკეთე გაეკეთებინა. ნიდერლანდებიდან დაბრუნებული, ყოველ ჩამოსვლაზე მისი საპენსიო დანაზოგიდან, პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიას სახელით, შეჭირვებულ ახლო მეგობრებს აჯილდოვებდა და აფინანსებდა... დიას, არიან ადამიანები, რომელთაც ბედი წყალობით, უფლის მადლით არიან მირონცხებული. ცხოვრება მათთვის ბუნების სიძია, მაგრამ ამ ბუნების ხიდეც სიარული და გამაზრდებელი მათი განუყრელი თანამგზავრია.

ჩვენი ერთი მეგობრის ნათქვამისა არ იყოს, რა სამწუნაროა, რომ ჩვენ შორის არცერთს მწერლის ნიჭი არ აღმოაჩნდა, თორემ ერთი ღირსეული რომანი, ალბათ, კიდევ დაინერგოდაო ამ დალოცვილ მიწაზე... დიას, ასეთი ლეთიკურთხეული კაცი იყო ლონგი ფარცვანია, ჩვენი დროის ეროვნული გმირი, კაცობისა და მეგობრობის ეტალონი, სამშობლოს ერთგული ჯარისკაცი... დიას, იგი ყოველმხრივ დამშვენებული და საამაყო პიროვნება იყო, რომელიც მუდამ ემასხურება ყველას, ვისთანაც მას ურთიერთობა ჰქონია. მადლობა უფალს, რომ ჩვენი ლონგი სამუდამოდ შეიფარა.

უახლოესი მეგობრები

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუნარებას გამოთქვამს იურიდიული სამსახურის უფროსის ნინო კაკუბავას დედის

ლიანა სიკოლია-კაკუბავას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ემუხვარების საგვარეულო ღრმა მწუხარებით იუნყება, რომ 33 წლის ასაკში ტრაგიკულად გარდაიცვალა გვარისა და ქვეყნის საამაყო შვილი, არქიტექტორი და მხატვარი


ნიკოლოზ მერაბის ძე ემუხვარი,

რომლის ნამუშევრებიც პრეზიდენტის თაოსნობით გამოფენილი იყო სიღნაღის საგამოფენო დარბაზსა და პრეზიდენტის სასახლეში, მანამდე კი მოსკოვში გაიმართა მისი დიდი პერსონალური გამოფენა. უაღრესად პერსპექტიული და ნიჭიერი შემოქმედის გარდაცვალება დიდი დანაკლისია ქართული ხელოვნებისთვის.

პანაშვიდი 20 აგვისტოს, დილის 10 საათიდან 19 სთმდე, წმინდა გიორგის სახელობის ილორის ეკლესიაში (ელიაავას ბაზრობასთან), შემდეგ განსვენებულს გადაასვენებენ მოსკოვში.

სს ჩაჩავას კლინიკის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუნყებიან, რომ გარდაიცვალა კლინიკის ღვანლმოსილი ექიმი, ოტორინოლარინგოლოგი

ნოდარ ბაკურაძე



და თანაგრძობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. მისამართი: თბილისი, ვფშაველას მე-7 კვ. კორპ.4, მე-2 სადარბაზო. მე-6 სართ. დაკრძალვა ტყიბულის რაიონის სოფ.ჭყევიში, 17 აგვისტოს.

თბილისის მოსავლის მიღების აქტიური პროცესი დასავლეთ საქართველოში უკვე დაიწყო. მოსავლის საპროგნოზო მაჩვენებელი 50 000 ტონას აჭარბებს, რაც გასული წლის მოსავალზე 30%-ით მეტია. გაზრდილია ხარისხი, თუმცა ფასი განსაკუთრებით შემცირდა არ არის. როგორც ჩანს, ნარსულს ჩაბარდა ის დრო, რომლისაგან 1 კგ თხილი 8-9 ლარი ღირდა და ხანდახან 10 ლარსაც კი აჭარბებდა.

თბილისის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელის გიორგი თოდუას ინფორმაციით, ამჟამად ნელ-ნელა თბილისის ფასი 3 ლარია, რაც ნიშნავს, რომ 1 კგ მშრალი თხილის ფასი 4 ლარი იქნება.

„წინასწარი შეფასებით, ხარისხი გასულ წელზე მეტად უკეთესია. ფასსაც ეს განაპირობებს. გასული წლის ანალოგიურ პერიოდში 1 კგ ნელ-ნელა თხილი დაახლოებით 2 ლარი ღირდა“, – განაცხადა თოდუამ. სახელმწიფოს მხრიდან თბილისის კადასტრის შექმნამ და სუბსიდირების პროგრამამ ფერმერებს მისცა საშუალება, შექმნათ სრულად განხორციელებიან.

„წამლობასთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსავლის დროულ აღებასა და შრომის სწორ პროცესს. შემდეგ კი, სტანდარტის მიხედვით დასაწყობებას. ვხედავთ, რომ ფერმერებმა, რომლებმაც ყველა წამლობა ჩაატარეს და სრულად იყავნ ჩესებს, მიიღეს პრემიუმ ხარისხის თხილი. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი სტიმული და გამოც-

თხილის ხარისხი და მოსავალი კარგია, ფასი - შეუსაბამო!

დიდება სხვა ფერმერებისთვისაც. ცხადია, პრემიუმ ხარისხი უფრო ძვირი ღირს 1-2 ლარითაც კი. განწყობა და მოლოდინი ახლა პოზიტიურია“, – განაცხადა თოდუამ.



ქართული თხილის მასიურ აღებას აგვისტოში მოელოან, რადროსაც, მშრალი ამინდი ხარისხიანი მოსავლის მისაღებად გადაწყვეტს როლს შეასრულებს. ასეთ ამინდში დაკრეფილი თხილი ნაკლებ აფლავებული იქნება, რითიც შარბანდელი მოსავალი ხანგრძლივი წვიმების გამო დაზარალდა. წელს ფერმერებს გარკვეული

პრობლემები იქნის და ივლისის წვიმებმა უკვე შეუქმნა.

ზუგდიდში მდებარე ქართული თხილის გადამამუშავებელი და ექსპორტიორი კომპანიის NUSIG-ის დირექტორის მამუკა მერიაშვილის თქმით, 2022 წელს აგვისტო-სექტემბერში ადგილობრივ მაზარზე გაუტეხავი თხილის ფასი 1-1,5 დოლარი იყო ხარისხისა და ტენის მიხედვით, ხოლო გარეუკული თხილი 5 დოლარი ღირდა.

„ფოქრობ.ეს ტენდენცია წელსაც შენარჩუნდება. რაც შეეხება ფასებს მსოფლიო მაზარზე, ამ ფაქტორს განსაზღვრავს თხილზე არსებული მოთხოვნა-მიწოდება. ჩემი შეფასებით, წელს საქართველოდან თხილის ექსპორტი სტაბილური იქნება. პროდუქტი გაგვაქვს ყველა კონტინენტზე და მუდმივად ვიმტეხებთ ახალ მაზარებს. წელს ჩვენი სამიზნეა აშშ-ის მაზარი“, – განაცხადა მერიაშვილმა.

როგორც კომპანიის ხელმძღვანელი ამბობს, ქართული თხილის ყველაზე დიდი მოცულობა ევროკავშირის მაზარზე გააქვთ.

ეკა ბაძრაძე

იომოზაურეთი ოზურგეთში მონარეგული და თანამედროვე გზით

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გრძელდება ინფრასტრუქტურის განახლება და მოწესრიგება. ამჟამად, რეაბილიტაცია უტარდება ცხემლისხიდი-უჩხუბი-ვაკიჯვის დამაკავშირებელ გზას.



რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ოზურგეთის მერის თანადაფინანსებით ჯამში, 4 კილომეტრზე მეტი გზის საფარი მოწყობა და პროექტის განხორციელებისთვის 2 599 000 ლარი დაინახება. სამუშაოები მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში დასრულდება. გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ოზურგეთის მერი, ავთანდილ თალაკვაძე, მთადგილეთიდან გიორგი ღურჯუაშვილისთან და ნიკა ბოლქვაძისთან ერთად გაეცნო.

ქიდევი პირთი კეთილმოწყობილი სივრცე მსხეთა-მთიანეთში

სოფელ ძველ მღვთაში, ლომისის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

პროექტის მიხედვით, დაგეგმილია სველის, საპარკინგე სივრცის, სველი წერტილებისა და მონასტრის მიმდებარე ეზოს კეთილმოწყობა, ასევე, დამონტაჟდება გარე განათებები და ჩატარდება ყველა სხვა საჭირო სამუშაო. პროექტის მიმდინარეობას მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებული დავით ნოზაძე, პირველ მოადგილესთან, გიორგი ჩიჭიურთან და ღუშეთის მუნიციპალიტეტის მერთან, მაცაცო ნარიანიძესთან ერთად, ადგილზე გაეცნო. სამუშაოების დასრულების შემდეგ, რეგიონს კიდევ ერთი კეთილმოწყობილი სივრცე შეემატება, რაც მეტად მნიშვნელოვანია, როგორც ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის, ასევე, ტურისტებისთვის. მიმდინარე სამუშაოების ღირებულება 2 200 000 ლარს აღემატება.



ეპროკა - ქართველი მკარცველები

მთლიან ქალაქ რეკო ემილიაში 3 ქართველი დააკავეს, რომლებიც საავტოო ცენტრიდან ტელეფონების და ვიდეოთამაშის მოპარვას ცდილობდნენ.

ინციდენტი საავტოო ცენტრ le 'I Petali-ში მოხდა. როდესაც დაკვირვების თანამშრომელმა დაინახა, რომ ქართველები ორი აიფონის და ვიდეოთამაშის მოპარვას აპირებდნენ, რომელთა ჯამური ფასი 1600 ევროს შეადგენდა. მან დირექტორი გამოიძახა. ამის შემდეგ ერთ-ერთ ქართველს და მალაზიის პერსონალს შორის ფიზიკური შეხლა-შემოხლა მოხდა, თუმცა თავად ქართველები ჩხუბის ფაქტს უარყოფენ. ადგილზე მისულმა პოლიციამ სამივე ქართველი დააკავა. მათ ძარცვის მცდელობაში აღნაშაულებენ.

პოლიციის ინფორმაციით, მორატორიუმები შეთანხმებულად მოქმედებდნენ. ისინი მალაზიაში სხვადასხვა მხრიდან შევიდნენ და დადიოდნენ, თითქოს ერთმანეთს არ იცნობდნენ. შემდეგ მათ მობილური ტელეფონების და ვიდეოთამაშის მოპარვა სცადეს. მაგრამ ქართველებს თავიდანვე უსაფრთხოების უზრუნველყოფის ოპერატორი აკვირდებოდა, რომელსაც მათი მოქმედების გამო ეჭვი გაუჩნდა. სწორედ მან ატეხა განგაში.

პროკურატურა დაკავებული ქართველებისთვის შინა პატიმრობას ითხოვს. ადვოკატები კი ნაკლებად მძიმე სასჯელის შეფარებას მოითხოვენ, რადგანაც ჩხუბის და ძალადობრივი ქმედებების ფაქტი ვიდეოკამერებზე არ ჩანს.

დანიშნულების აღმოფხვრის ფარგლებში კარაბინერებმა ნეაპოლში მცხოვრები ქართველი კაცი ქურდობის ბრალდებით დააკავეს.


63 წლის კაცი წარმომოხილ საქართველოდან არის და ის წარსულში ნასამართლევა. როგორც იტალიური მედია იტყობინება, კაცმა 7 მთელი ლიქიონი მოიპარა.



პოლიციის ინფორმაციით, ქართველი იმ დროს დააკავეს, როდესაც ის ლომბარდში მოპარული ველოსიპედის ჩაბარებას აპირებდა. მორატორიუმის დაკავება GPS-ლოკატორის მეშვეობით გახდა შესაძლებელი, რომელიც ველოსიპედზე იყო დამონტაჟებული.

დაკავებულის ბურგანთის ჩხრევისას პოლიციამ სხვა დაშლილი ველოსიპედების ნაწილები აღმოაჩინა. სამართალდამცველებმა დაადგინეს, რომ ქართველმა საერთო ჯამში 4 ველოსიპედი მოიპარა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაკავებულ ქართველს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეეფარდა. მას 10 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

ფერისცვალება უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი



19 აპრილის იხვება ფერისცვალების დღესასწაული და გრძელდება 26 აპრილამდე (7 დღე).

19 აგვისტოს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულებს იესო ქრისტეს ფერისცვალებას. ფერისცვალება არის იესო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა. ამიტომ მართლმადიდებელმა ეკლესიამ ერთ-ერთ უდიდეს საუფლო დღესასწაულად შეარჩია...

ცნობილია, რომ როდესაც იესო ქრისტეს ჯვარცმის დღე ახლოვდებოდა, იგი უნდა ვნებულყო ადამიანთა ცოდვებისთვის. უფალმა თავის მოწაფეთაგან გამოარჩია პეტრე, იაკობი და იოანე. სწორედ მათთან ერთად ავიდა თაბორის მთაზე სალოცავად. აი, როგორ არის აღწერილი ფერისცვალების ეპიზოდი სხანარებაში: ლოცვის დროს (თაბორზე) მაცხოვრის სახე განათდა, გამრწყინდა როგორც მზე, ხოლო ტანსაცმელი თეთრი გახდა, როგორც თოვლი... და, მას გამოეცხადნენ მოსე და ელია, და აუწყეს მისი აღსასრულის შესახებ (იერუსალიმში). აღსანიშნავია ისიც, რომ თავიდან მოწაფეები რულმა მოიკცა და როდესაც გამოფხიზლდნენ, დაინახეს უფლის დიდება და ზევიდან მოესმათ მამა-ღმერთის ხმა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, მაგისი იმინეთ“.

გიული ლიპარტია

ღმრთისმოვლვა სუბელას მონასტერში

15 აპრილის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მიძინების დღესასწაული სუბელას ისტორიულ მონასტერში აღინიშნა, - ინფორმაციას კონსტანტინოპოლის ქართული სამრევლო ავრცელებს.




საღმრთო ლიტურგია ყოვლად უწმიდესმა მსოფლიო პატრიარქმა, ბართლომეოსმა მღვდელმთავრებთან ერთად აღასრულა. საღმრთო ლიტურგიის მთავარი მწიგნობარი მღვდელი კონსტანტინოპოლის ქართული სამრევლოს წინამძღვარი და მსოფლიო საპატრიარქო საყდრის არქიმანდრიტი ილია ჯინჯოლავა იყო. წირვას ტრანსპარენტში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა, ათობით ადგილობრივი ქართველი მცხოვრები და საქართველოდან ჩასული მომლოცველთა ჯგუფი ესწრებოდა.


გოჭორის კოპლასი რესტავრაციისთვის მზადაა

გოჭორის კოპლასის ხე-მცენარეებისაგან გაწმენდითი სამუშაოების ჩატარება 2022 წლის ზაფხულში გოჭორში საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის, თეა წულუკიანის, ვიზიტისას გადაწყდა.

„პროექტის წარმატებით განხორციელება კი შესაძლებელი გახდა ეკლესიისა და სახელმწიფოს მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად.



ამის შემდეგ დაიწყო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისთვის სახიფათო ხეების მოჭრა, დაჭრა და დასაწყობება. უშუალოდ ხე-მცენარეების მოჭრა 2023 წლის 7 ივნისს დაიწყო და 21 ივლისს დასრულდა. მოცემული ეტაპის დასრულების შემდეგ, ძეგლის რეაბილიტაციისთვის კვლევითი და საპროექტო სამუშაოები უნდა დაიწყოს, რისთვისაც ამჟამად მიმდინარეობს ძეგლის ძლიერ დაზიანებული, კრიტიკული უბნების მონიშვნა, - ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.



მეწყარი ჰიპოალაბუი

06 დეკემბერს, ჰიპოალის მთებში მეწყრისას დაღუპულთა რიცხვი 57-მდე გაიზარდა, 10 ადამიანი დაკარგულად მიიჩნევა.

ჰიპოალის მთებში მეწყერი კოკისპირულმა წვიმამ გამოიწვია. „ბოლო 48 საათის განმავლობაში უწყვეტი ნალექის გამო ინდოეთს ტრაველი დაატყდა თავს. დაღუპულთა რიცხვი, შესაძლოა, კიდევ გაიზარდოს. დაზიანებულია გზები და ელექტროენერჯის ქსელები“, - განაცხადა შტატის მინისტრმა, სუხვინდერ სინგმა. მეწყერი ჩამოწვა ქალაქ ჰიპოალში, სადაც, სულ მცირე, 14 ადამიანი დაიღუპა. ქალაქში დაიხურა სკოლები და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები.

საფრანგეთში მსუბუქი ტყის ხანძარს ებრძვიან



ცხვსლმა აღმოსავლეთ პირინეის მხარეში 500 ჰექტარი მოიცვა. ევაკუირებულია 2 000-ზე მეტი ადგილობრივი და ტურისტი.

საფრანგეთის საგანგებო სიტუაციების სამსახურის ინფორმაციით, ხანძარი გავრცელება ამჟამად კონტროლს ექვემდებარება, თუმცა ჯერ კიდევ შენარჩუნებულია სახიფათო მდგომარეობა. სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებისას 17 მეხანძრე-მაშველი მსუბუქად დაშავდა. ხანძარი 14 აგვისტოს საღამოს გაჩნდა და სწრაფად გავრცელდა ასობით ჰექტარზე. სტიქიამ 30-მდე საცხოვრებელი სახლი დააზიანა. ესპანეთის საზღვართან დაკვეტილია საავტომობილო გზა და შეწყვეტილია სარკინიგზო მიმოსვლა.

თურქეთში რეკორდული სისხეპი

თურქეთში ჰაერის რეკორდული ტემპერატურა, თითქმის 50 გრადუსი აღინიშნა, - ამის შესახებ თურქეთის ეკოლოგიისა და ურბანული განვითარების მინისტრმა მეჰმედ ოუსსუკიმ დაწერა. მეტეოროლოგების ინფორმაციით, თურქეთის ისტორიაში ყველაზე მაღალი ტემპერატურა ესტუმეპირის პროვინციაში, ქალაქ სარიჯაიაში დადასტურდა.



იაპონიას ტროპიკული უტორი „ლანი“ დაატყდა თავს

ათასობით ადამიანის ევაკუაცია გახდა საჭირო, ათობით ათასი აზონენტი კი ელექტროენერჯის გარეშე დაჩეხილი. კიოტოში გადაუღებელი წვიმის შედეგად ადიდებულმა მდინარემ ხიდი წაიღო. ძლიერი ქარისა და უხვი ნალექის გამო ასევე ზიანი მიადგა კანსასის, შიკოკუსა და ჩუგოკუს რეგიონებს.

სტიქიის გამო ადგილობრივი ხელისუფლება მოქალაქეებს მოსალოდნელი მეწყრისა და წყალდიდობის შესახებ აფრთხილებს. შეჩერებულია სარკინიგზო მიმოსვლა, შეფერხებით მუშაობენ აეროპორტები. შტორმის გამო უკვე გაუქმდა 800-ზე მეტი შიდა ფრენა.

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ჭავჭავაძის გამზირი №17

მთავარი რედაქტორი
საბარტაძე ძორაულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის
მოადგილე
მამუკა ვაშაქიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:

გურამ გომიზაშვილი
599 53-76-16;
ალექს
ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლობა:

შპს 100 - ახალი
„საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „საქართველოს
რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

შპს „თანადგობა“-1 გაზეთ
„საქართველოს რესპუბლიკის“
გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იკაძევაბა სტამბა
„ქოლორი“
ქ. პაღლაშაძის №3

კოდორ ჯაფი

საქ(უაქ)070.4(479.22)
ს-323



2 009882 616932

ავტორთა

საბარტაძე ძორაულია!
რედაქციის მიერ
შეუკვეთაში გასაღები
დაიკაძევაბა
ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები,
შესაძლოა, გუდას
არ ემთხვეოდეს
რედაქციის პოზიციას.
ვაშაქიძის
სიუჟეტში პასუხს
აბეზინ ავტორები.

გაზეთის მომსახურე ნომერი გაეშვა ორშაბათს, 21 აპრილს

სა	უხსოვარი ვაჭარის ქარსი: აუუ ფონური - 2.6226; პირი - 2.8634; ბრითანული ბირჟაზე სტარტინგი - 3.3407; 100 რუბლი - 2.6586; თურქული ლირა - 0.0969; აზერბაიჯანული მანათი - 1.5417; 1000 სომხური დრამი - 6.7899
----	--

აპრილი 17 აპრილისთვის
აღმოსავლეთი სპარტოპოლი:
ბარი - ლაშქ +17, ლაშქ +36
მთიანი რაიონები - ლაშქ +12, ლაშქ +34
დასავლეთი სპარტოპოლი:
ბარი - ლაშქ +21, ლაშქ +37
მთიანი რაიონები - ლაშქ +17, ლაშქ +37
თბილისი: ლაშქ +21, ლაშქ +37

დაგვიკავით, მოგვწერით:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge